

# კახეთი- Region



2025, 5, №43

მაცხოვრის აკვანზე შესრულებული  
წილქნის ღვთისმშობელი

ქვაში ამეცყველებული ლევილის დედა

საგატობელი ნენენა და კოლხური  
დედაღვთაება ნანა

მწვერვალების დაპყრობა ერთგვარი  
პროტესტი იყო

მეხსიერებამ დავიწყება ვერ შესძლო

გურულების მოძახილი, კრიმანჭუტივით  
საუბარი

ნატდმა გურულებმა სტარტი აიღო

# HOMEOPATHIC AND GEORGIAN TRADICIONAL MEDICINE CLINIC FAMILY DOCTOR

## ჰომეოპათიური და ქართული ტრადიციული მედიცინის კლინიკა ოჯახის მკურნალი



თორნიკე ალაშვილი – კლინიკის დირექტორი, ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, აკადემიკოსი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, ჰომეოპათიის და ქართული ტრადიციული მედიცინის ლიგის პრეზიდენტი. კლინიკაში კომპლექსურად მკურნალობენ ხერხემლის პრობლემებს, ღვიძლს, ბრონქულ ასთმას, ფსორიაზს, აუტიზმს. ფარისებრ ჯირკვალს და სხვა დაავადებებს.

კლინიკის მისამართია:

ქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი 28, ალექსანდრე ჭავჭავაძის 2ა.

ტელეფონები: (+995) 2 98 64 86, 599 559 961

[www.Curamediana.Ge](http://www.Curamediana.Ge)

## სარჩევი

|                                                             |    |
|-------------------------------------------------------------|----|
| მაცხოვრის აკვანზე შესრულებული წილკნის ღვთისმშობელი.....     | 4  |
| ყოველი საქართველო – აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთი .....   | 6  |
| ლევან გოთუა და მთამსვლელი ჯაფარიძეები .....                 | 9  |
| ერთი რწმენით გავლილი ფაშისტური და კომუნისტური დილეგები..... | 11 |
| ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერმა ფესტოსის დისკო გამიფრა.....  | 14 |
| ნაგომარის ჩაის სახლი .....                                  | 16 |
| ლევლის დედა ჩოხატაურის სცენაზე .....                        | 19 |
| ცეკვა ხელოვნების საოცარი სფეროა.....                        | 20 |
| იმედი.....                                                  | 21 |
| ადრიანო ჩელენტანო – თავბრუდამხვევი წარმატება.....           | 23 |
| ნატვრია XVI საუკუნე ხევსურეთი – გიორგი ბოჭორიშვილი .....    | 24 |
| ანეკდოტები.....                                             | 30 |

ჟურნალი თავისუფალი პრესის პრინციპით ხელმძღვანელობს.  
რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს ახდებს ავტორი,  
ხოლო სარედაქციო ტექსტზე პასუხისმგებლობა რედაქციის პასუხისმგებელი აქვს.

მოგვანოდეთ პუბლიკაციები, მოთხოვნები, ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები,  
გაგვიზიარეთ თქვენი პრობლემები და მოგვიყვით საინტერესო ამბები.

e-mail: [lelasurmava1@gmail.com](mailto:lelasurmava1@gmail.com)

## სარედაქციო შეთავაზება

გურიაRegion შემეცნებით-საგანმანათლებლო ხასიათის ყოველთვიური ჟურნალია. პუბლიკაციები ტურიზმის, დაცული ტერიტორიების შესახებ, სამედიცინო თემებზე, ქართველი მწერლების საქმიანობასა და წარმატებებზე ქვეყნდება. ჰყავს ბევრი მკითხველი. გურიაRegion საქართველოს უმეტეს არეალში ვრცელდება, მაგალითად, ქალაქებში – თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, რუსთავში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, ლანჩხუთში.

– A4 ფორმატის ერთი გვერდი შავ-თეთრი რეკლამის განთავსების ღირებულება 300 ლარია.

– A4 ფორმატის ერთი გვერდი ფერადი რეკლამის განთავსების ღირებულება 600 ლარია.

გრძელვადიანი თანამშრომლობისას ფასდაკლება მოქმედებს.

საკონტაქტო პირი: ჟურნალის რედაქტორი ლელა სურმავა.

მოგილური ტელეფონი: 558 256 550





წილკნის ღვთისმშობლის ხატი

წილკნის ღვთისმშობლის ხატი მსოფლიოში იშვიათია, ლუკა მახარებელმა მაცხოვრის აკვნის ფიცარზე შეასრულა. ხატზე გამოსახულია ღვთისმშობლის ნახევარი ფიგურა. ორივე მხარეს წმინდანები, მიქაელი და გაბრიელ მთავარანგელოზია, ასევე წმინდა გიორგი არის გამოსახული. მოჭედულია ფირფიტებით. შემკულია ოთხი ბიზანტიური მედალიონით.

წილკნის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი ეკლესიის მთავარი სინამდის იყო და მრავალ სასწაულებს ახდენდა. XX საუკუნის დასაწყისში წილკნის ეკლესიაში იყო დაბრძანებული. ახლა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდში არის დაცული.

VI საუკუნეში წილკანში მოღვაწეობდა წმინდა იოანე ზედაზნელის ერთ-ერთი მოწაფე წმინდა ისე წილკნელი. იგი ამავე ტაძარში არის დაკრძალული. მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელების დროს შეიქმნა წილკნის საეპისკოპოსო. სამწყსოში შედიოდა მუხრანი.

წილკნის ღვთისმშობლის სახელო-



## მაცხოვრის აკვნაზე შესრულებული წილკნის ღვთისმშობელი

ბის ეკლესიის აგება ქართლში ქრისტიანობის გავრცელების პირველ პერიოდს უკავშირდება. წილკნის ეპარქია V საუკუნიდან იხსენიება, მოიცავდა არაგვის, ქსნის ხეობებს და ხევს. 506 წლის საეკლესიო კრებაზე სხვა ქართველ მღვდელმთავრებთან ერთად, წილკნელი ეპისკოპოსიც ესწრებოდა.



წმინდა ისე წილკნელი

წილკნის ტაძარი და მისი სამწყსო საკმაოდ მდიდარი იყო. ქართველ მღვდელმთავართა შორის წილკნელს მეცხრამეტე ადგილი ეკავა. კათედრალს დიდ დახმარებას უწევდნენ ქართველი მეფეები და დიდგვაროვანი ფეოდალები.


გადმოცემის თანახმად, როდესაც წილკნის მინდვრებს კალია შეესევდა, ღვთისმშობლის ხატი გალობით ტაძრიდან გამოაბრძანებდნენ და ნათესებში შემოატარებდნენ, კალიაც გაეცლებოდა. ხატი ნათესებს სეტყვისგანაც იცავდა.

წილკნის ეკლესია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის არის. დღესასწაული 21 სექტემბერს აღინიშნება. ტაძრის ზარის ხმა მთელს მუხრანში ისმოდა. გადმოცემის თანახმად, ზარის ნახევარი ოქრო იყო, ხოლო ნახევარი – თითბერი.

წმინდა ისე წილკნელი მამა კოზმამ აკურთხა ეპისკოპოსად: განთქმული იყო უბინოებითა და სათნოებითა სრულებისასა მოწვევული ნერგი სამოთხისა, ყუავილი ფერშუენიერი სურნელი.

წმინდა იოანე ზედაზნელმა თავისი მოწაფეები ისე წილკნელი და შიომღვიმელი სათნოებაში გამოსაცდელად მიხმო. ნეტარმა იოანემ წყალი

ითხოვა, ილია დიაკონმა ჭიქა აავსო და მოძღვარს მიაწოდა. მამამ აღნიშნა, – ეპისკოპოს ისეს მართებდა. ჭიქა ასწია, დაილოცა და ხელი გაუშვა. წყლით სავსე ჭიქა დიდხანს იყო ჰაერში, როგორც ქრისტეს რწმენით აღსავსე პეტრე დადიოდა ზღვაზე. მამა იოანემ მოწაფეებს ჰკითხა, – რომელი მიიღებთ ჰაერში გაჩერებულ სასმელს? ჭიქასთან მიახლოება ვერ გაბედეს. წმინდა იოანემ ხელი გაიწოდა ჭიქისკენ, სამივემ მადლიერებით მიიღო ნაკურთხი წყალი. შემდეგ წმინდანმა საკმევლის შეწირვა ითხოვა. მამა შიომცხედრიდან მარცხენა ხელით ამოიღო ნაკვერცხალი, საკმეველი დადო და აკმევდა. სასწაულის მხილველებმა ადიდეს ღმერთი და რწმენაში განმტკიცდნენ. წმინდა იოანემ ეპისკოპოს ისე წილკნელს კურთხევა სთხოვა. მოძღვარს დაემორჩილა და ხალხს მდინარე ქსნისკენ გაუძღვა. მოსეს მსგავსად, აღელვებულ მდინარეზე კვერთხი გაიწოდა. წყალმა მაშინვე დატოვა კალაპოტი და წმინდანის კვერთხს გაჰყვა. უკაცრიელ ადგილზე მინა ჩაღრმავდა, წყალი ამოვიდა და ტაძრამდე მივიდა, იქ დღემდე მოედინება საკურნებელი წყალი. ადგილობრივები ადიდებდნენ უფალს. წმინდა ისე წილკნელი ქრისტეს მოძღვრებას ქადაგებდა, კერპები დაანგრია, ბევრი ურწმუნო მოაქცია. წმინდანს 15 დეკემბერს მოიხსენიებენ.



წილკნისა და დუშეთის ეპარქიის მიტროპოლიტი ზოსიმე შიომღვილი

XX საუკუნეში ეკლესია დახურული იყო. 1988 წელს მეუფე ზოსიმეს ლოცვა-კურთხევით და ძალისხმევით წილკნის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი აღდგა. 1994 წელს ეზოში საეპისკოპოსო რეზიდენცია ააგეს.



თბილისი, ვაკის რაიონში, ელიზბარ მინდელის ქუჩაზე  
შენდება წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის ტაძარი.  
შეიტანეთ თქვენი წვლილი, ერთად ავაშენოთ ღვთის  
სახლი.

მადლობას გიხდით.

ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი  
გიორგი უგრეხელიძე



GE94LB0115137832317000


LBRTEGE22

სს ლიბერთი ბანკი

GE64BG0000000670704800

BAGAGE22


სს საქართველოს ბანკი




GE73TB7344136080100005

TBCBGE22

სს თიბისი ბანკი







ვახუშტი ბატონიშვილი



დიდოელი ქალი



დიდოელი ლეკის ნაბადი

## ყოველი საქართველო აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთი

აღმოსავლეთ კავკასიონიდან კახეთის მთიანეთი იწყებოდა. ხევსურეთს, ნაწილობრივ, თუშეთს კი მთლიანად კავკასიონის ჩრდილოეთი კალთები ეკავა. ამაყ მთიელებს არა ერთხელ უცდიათ მეფის მორჩილებიდან თავის დახსნა, მაგრამ ეკონომიკური დამოკიდებულება ბარზე, ყოველ მათ ცდას უნაყოფოს ხდიდა. ლევან კახთა მეფის (1518/20-1575 წწ.) მოღვაწეობასთან დაკავშირებით მემკვიდრეობა ასეთ ეპიზოდს აღწერენ: არამედ ამას წინათა აღარ მორჩილებდნენ ფშავ-ხევსურნი და თუშნი; და ამან ლევან დაიპყრნა არა ძალითა, არამედ ალუთქუა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვრ იყვნენ კახეთს, და მისცა შეწირულობა ლაშას ჯუარსა თიანეთს შინა, მიერით-გან მოსცემდნენ ლაშკარსა და ბეგარასა (ვახუშტი ბატონიშვილი).

კახეთს ეკუთვნოდა აგრეთვე სამხრეთ დაღესტნის თემი – დიდოეთი. XVI საუკუნის ბოლოდან დიდოეთს, კახეთის სხვა მხარეების მსგავსად, მეფის მოურავი განაგებდა. მთის ჩამონოლასა და განსაკუთრებით შაჰ-აბას I-ის გამანადგურებელი ლაშქრობების (1614-1617 წწ.) შედეგად, კახეთის გავლენა დიდოეთზე მნიშვნელოვნად შეირყა. 1640 წელს თეიმურაზ I-მა სცადა დიდოელების დამორჩილება, მაგრამ მისი ლაშქრობა მარცხით დასრულდა. დიდოეთის ერთი ნაწილი, როგორც ეს ფრანგი კარტოგრაფის დელილისა და ვახუშტის რუკებიდან ჩანს, XVIII ს-ის პირველ ნახევარშიც კახეთის საზღვრებში რჩებოდა. დიდოელები კახთ ბატონს ხარკს უხდიდნენ. სამაგიეროდ თავისუფლად ჩამოდოდნენ სავაჭროდ. დიდოელები, როგორც 1722 წლის განწესებიდან ჩანს, ნოდარიშვილების სარდლობით რუსთველის სადროშოს შემადგენლობაში გამოდიოდნენ.

ოსმალთა და ლეკიანთა დიდოეთი საბოლოოდ მოწყვიტა კახეთს. 1770 წლის დემოგრაფიული ნუსხის თანახმად, არს დიდოეთი ლეკისაგან წართმეული ამ ას წელიწადში... ჩვენთვის უკვე ცნობილი მეზობელი ქვეყნების აღწერით, კიდევ კახეთის სამეფოს ნაწილი, რომელნიც კახეთზე ჩრდილოდ კერძო არიან ოთხნი თემნი: დიდოეთი, ქისტნი, ლილივი და ზურზუკი, ლეკთაგან მიგუხმნიან და გაჰუშმადიანებით. ახლა ცდილობენ და სურისთ, რომ თუშეთი და ხევსურ-ფშავი და ხევი, რომელიც რუსეთის სახელმწიფოსა და საქართველოს შემოსავალი და გასავალი გზა არის. ესეც დაიპყრან.

ზოგიერთი სამხრეთ-დაღესტნური თემი ერეკლე მეფის ყმად ითვლებოდა. XVIII საუკუნის ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი წერდა, რომ პირაქეთ ლეკნი აწნუხელნი, თებელნი და ყირახელნი... იყვნენ მოსაზღვრე ყმა კახეთისა და მონებდეს კახთ ბატონსა. მათ მინდობილი ლეკნიც ეწოდებოდა. ეს ყმობა, რა თქმა უნდა ნომინალური იყო და სამხედრო დახმარებაში გამოიხატებოდა.

### აღმოსავლეთი საზღვრები ელისუხ სასულთნო

მთის ჩამონოლამ და ეთნო-კულტურული გეოგრაფიის შეცვლამ, ყველაზე მეტად კახეთი დააზარალა.

1551 წელს სპარსეთის შაჰმა თამაზმა (1524-1576 წწ.) შაქი დაიპყრო და კახეთის სამეფოს აღმოსავლეთ სანაპიროსა და მთიანეთს, საზღვარი მდინარე ალაზნის მტკვართან შეერთების ადგილას იწყებოდა, ჩრდილო-აღმოსავლეთით დღევანდელი დაშუბის ქედს გასდევდა და შემდეგ გიშისწყლის (დღევ. კიში) აყოლებით კავკასიონის მთავარ ქედზე გადიოდა. სამურის სათავეებიდან გიშის წყლამდე გადაჭიმული იყო წუქეთის სამოურავო. ყოფილი წუქეთის საერისთავო, მისი ერთ-ერთი ცენტრი გიშში მდებარეობდა. გიშის ციხისთავი სპარსელი ისტორიკოსის ცნობით, ხელმწიფესთან გამოეშურა და ციხის კარების კლიტეებიც გადასცა. როგორც ჩანს, რჯულიც შეიცვალა, შაჰ-თამაზმა მას სამსახური დაუფასა და შეუვალა მთიანეთს – კახთა მეფის ხელისუ-

ფალთ ეკრძალებოდათ ყოფილი სამოურავოს ტერიტორიებზე შესვლა.



1604 წელს სპარსელებმა კახეთს კაკის მხარე ჩამოაჭრეს. გამაჰმადიანებულ ქართველ თავადს გადასცეს და მას სულთნის პატივი უბოძეს. 1607 წელს ოსმალებმა წახური და კაკი გააერთიანეს. შექმნეს ელისუს სასულთნო, საზღვარი კახეთის სამეფოსა და სასულთნოს შორის მდ. ყანი-ყობაზე დაიდო, წახურის სასულთნოს საქმეები შარვანის ხანს ეკითხებოდა. 1722 წლის ფირმანით, წახურის სანჯაყი შირვანის საბეგლარბეგოს შეუერთდა.


ელისუს სულთანს მფარველობდნენ სპარსეთის შაჰი და ოსმალეთის სულთანიც: ის ესაჭიროებოდათ, ერთის მხრივ, ქართლ-კახეთის მეფეთა დასამორჩილებლად, ხოლო, მეორე მხრივ, საშამხლოსთვის ზურგის გასამაგრებლად და კავკასიაში რუსთა წინსვლის შესაჩერებლად.

XVI ს-ის 40-იან წლებში ამ ადგილებში იმოგზაურა თურქმა ისტორიკოსმა ევლია ჩელებამ: დარუბანდიდან გამოსულნი სოფელ წახურში მოვედით, დაღისტნის მბრძანებლის ერთ-ერთი ტომის მეთაურის – ემირ უსურ-ბეგის საბრძანებელშია... დაღისტანი აქ გათავდა და აი, ამიერიდან, საქართველოში შევედით. საზღვარზე მდებარე უდუღუს ციხის შესახებ, ირანის მბრძანებლობაშია, ეს ციხე ხელმარცხნივ მივატოვე და... შაქის ციხის საზღვრებისაკენ წავედი, სოფელ ზუჭურიაში მივედით. საქართველოში თეიმურაზ-ხანის სამფლობელოს ფარგლებში, თბილისის ხანისადმი დაქვემდებარებული დიდი სოფელია. მისი ქვეშევრდომები ქართველი აზნაურები, სომხები და გოქდოლაკები არიან. მათი მბრძანებელი ცალკე სულთანია.

სურათი მეტად მეტყველია – მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ კახეთი მოსწყდა დედა-სამშობლოს, იქ ქართველობა მაინც მძლავრად იყო ფესვგადგმული. სიმპტომატურია, თითქმის ასი წლის განმავლობაში ელისუს სასულთნო კახეთის სამეფოსთან კულტურულ-სარწმუნოებრივსა და სამართლებრივ კავშირებს ინარჩუნებდა.

## ჭარ-ბელაქნის უბატონო თემატი

დაღესტნელთა ინფილტრაცია კახეთში XVI ს-ის შუახანებიდან დაიწყო, ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს: ამანვე ლევან მოიყვანა ლეკუნი დასხა ფიფინეთს



ზიდვად ყინულისად ზაფხულისათვის კავკასიიდან. ასე გაჩნდნენ კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჭარისა და თალას დაღესტნური თემები, რომლებმაც თანდათანობით დაიკავეს კახეთის დაცლილ-აოხრებული მიწები. XVII ს-ის 60-70-იან წლებამდე ჭარელები კახეთის მეფეებს ემორჩილებოდნენ. შემდეგ ირანელი ხანებისგან ზურგამაგრებულმა ამ უბატონო თემებმა თავის სარჩენად კახეთის ძარცვა-რბევა იწყეს. XVIII ს-ის დასაწყისიდან მათ ახალი ტერიტორიების დაპყრობასაც მიჰყვეს ხელი. 1727 წელს თურქეთის სულთანმა საგანგებო ფირმანით მათ კახეთის მიტაცებული მიწები სამუდამოდ დაუმტკიცა. ტერიტორია მაქის წყლის დასავლეთით გავაზისწყლამდე, ანუ ჭიაურის სამოურავო, სრულიად დაცარიელდა ლეკთა თავდასხმების შედეგად.

სპარსელთა დამსჯელი ლაშქრობების შემდეგ ჭარ-ბელაქნი თეიმურაზსა და ერეკლეს გადაეცა, მაგრამ მალე დაიკარგა. დროდადრო იქ ერეკლე II ახერხებდა თავისი ძალაუფლების აღდგენას; ამიტომ იმდროინდელი უცხოელი მოგზაურები ჭარ-ბელაქნის სოფლებს კახეთს მიათვლიდნენ. აი, რას წერდა XVIII ს-ის 80-იან წლებში რუსეთის რეზიდენტი იაკობ რაინეგისი: ნადირ-შაჰმა მთლიანად გაანადგურა ჭარი და ბელაქანი, ბევრი მოსახლე ამოწყვიტა და გეორგიის მმართველს თეიმურაზ-ხანს დაუბრუნა მისი ეს ძველი საკუთრება. მაგრამ, რადგან ქართველებმა ეს მხარე ვერ დაიმორჩილეს, ხოლო ნადირ-შაჰიც მოკლეს ძველი მცხოვრებლები კვლავ დაეპატრონენ თავის საკუთრებას და ახლაც არავის აწუხებს იქ, თუმცა გეორგიის მეფის უფლება ამ მხარეზე ეჭვმიუტანელია.

სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ჭარ-ბელაქანი





დაღესტანი

უძველესი კახური მინა-წყალი იყო და საქართველოს კუთვნილ ტერიტორიას წარმოადგენდა. სწორედ ამ შეხედულების გამოცხადი უნდა იყოს ის, რომ ბურნაშევის 1784 წლის რუკაზე და იოანე ბაგრატიონის 1799

წლის აღწერაშიც კაკელისენი ქართლ-კახეთის საზღვრებშია მოთავსებული. მაგრამ რეალობა განსხვავდება თეორიისგან, რუსული მმართველობის დამყარების მომენტისთვის (1801 წ.) ჭარ-ბელაქნი საქართველოს საზღვრებს მიღმა დარჩა.

ზაზა აბაშიძე

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)



## საბრძოლო ღავალები

ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი 1900 წელს საფრანგეთში, ქალაქ ლიონში დაიბადა. პროფესიით პილოტი იყო, ფრანგული აეროდრომის უფროსი ესპანეთის მაროკოში. შემდეგ კომპანია აეროპოსტა-არგენტინას საჰაერო ხაზის დირექტორი.



ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი

ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის პირველი მოთხრობა სამხრეთის ფოსტა 1028 წელს დაიბეჭდა. მეორე – ლამის ფრენა 1931 წელს. ორივე მოთხრობამ მწერალს აღიარება მოუტანა.

ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი ნიჭიერი ჟურნალისტი იყო. მთელი სულითა და გულით ეხმარებოდა თავისი ქვეყნის ყველა მოვლენას. ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს, როგორც ფრანგული გაზეთის კორესპონდენტი, ევროპის ბედზე, მომავალზე შემოფოთებას გამოთქვამდა – ევროპას ფაშიზმი ემუქრებოდა.

ადამიანებისადმი დიდი სიყვარულითაა აღვსილი ეგზიუპერის საუკეთესო ნაწარმოები ადამიანების მინა (1939 წელი). ჰიტლერიზმის წინააღმდეგ კაცობრიობის სასტიკი ბრძოლის წლებში, იგი მოვლენების მგზნებარე მონაწილეა. ომის დაწყების დროს, ავიაციაში აღარ მსახურობდა. მიღებულმა ჭრილობებმა შეუზღუდა, მაგრამ თვითმფრინავს ისევ დაუბრუნდა და მტრის წინააღმდეგ ბოლომდე იბრძოლა. შემდეგ ემიგრანტის სტატუსით აშშ-ში გაემგზავრა. დამარცხებულ სამშობლოზე დარდით, მრისხანებითა და დამპყრობლისადმი სიძულვილით არის სავსე მოთხრობა სამხედრო მფრინავი.

ანტუან დე სენტ-ეგზიუპერმა ნიუ-იორკში ცხოვრების დროს დაწერა ცნობილი ნაწარმოები პატარა უფლისწული.

მრავალი დაბრკოლების შემდეგ ისევ ავიაციაში ბრუნდება. ბრძოლებში მონაწილეობს, მფრინავი თითქმის ხეიბარია. მეგობრის დახმარების გარეშე კომბინიზონის ჩაცმა და თვითმფრინავის კაბინაში ჩაჯდომაც არ შეუძლია, მაგრამ... კიდევ შესწევს ძალა, თვითმფრინავი მართოს და ტყვიამფრქვევიდან ისროლოს. პატრიოტი ისევ ხვდება მტერს, რამდენიმე საბრძოლო დავალებას ასრულებს!..

1944 წლის 31 ივლისს ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი საჰაერო ბრძოლაში დაიღუპა.

# ...შუისა და სილზე ამაღლებული...

## ლევან გოთუა და მთამსვლელი ჯაფარიძეები



ლევან გოთუა და ალექსანდრა ჯაფარიძე

ახლა, როცა საქართველოს ასე სჭირდება ერის ბედ-ილბაღზე დაფიქრებული და ზნეობით შემკული ადამიანები, უფრო მწვავედ განვიცდით დიდი მწერლის არყოფნით გამოწვეულ ტკივილს.

ლევან გოთუას ცხოვრების გზა, მისი ფიქრის საგანი, მამული იყო მუდამ, ამიტომაც ჰქონდა ფეხით შემოვლილი საქართველოს ყოველი კუთხე. მისი მთა-ბარი, უშრეტი ენერგიით აღსავსეს, მოგზაურობა შემოქმედებად მიაჩნდა და თვლიდა, რომ ადამიანი, რომელიც არ იცნობს თავის მშობლიურ მიწა-წყალს, არც არის ღირსი ამ მიწა-წყლისა.

ლევან გოთუა შესანიშნავი მთამსვლელი და მოგზაური იყო. დიდ მთასვლურ მიღწევებს, იგი თავისი ოცნების დიდ მოზიარეს, ქართული ალპინიზმის აღიარებული ლიდერის – ალიოშა ჯაფარიძის სახელს უკავშირებდა და ალპინისტური მოღვაწეობის დასაწყისად 1937 წელს მიიჩნევდა.

ამ ავადსახსენებელ დროს, როცა ხალხს საკუთარი ლანდისაც კი ემინოდა, ხოლო ლევან გოთუას უკვე საკამო ხანი ჰქონდა გატარებული გადასახლებებსა და ციმბირის შორეულ საკონცენტრაციო ბანაკებში, მისთვის საქართველოს მთა-ბარში სიარული და მწვერვალებისკენ ლტოლვა, ერთგვარი პროტესტი იყო არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. იგი ვეღარ უძლებდა და ვერ ეგუებოდა ქალაქში გამეფებულ შურსა და გაუტანლობას, ბეზლობასა და ღალატს, შიშსა და სულმოკლეობას, და კავკასიონის მწვერვალებს მიაშურებდა ხოლმე. რადგან მხოლოდ აქ აღიქვამდ სრულად პირველყოფილ მშვენიერებას და ჭეშმარიტი მეგობრობის განცდას. იგი ასე იგონებდა თავის პირველ ნაბიჯებს მთამსვლელობაში და ალიოშა ჯაფარიძესთან დამეგობრებას: დაღუ-

პული მეგობრის გახსენება, ყოველთვის იწვევს ძველი ნაიარების მწვავე ტკივილს, მაგრამ ამ გრძნობას მუდამ ახლავს ერთად განვლილი ცხოვრების შთამბეჭდავი სურათების აღდგენა და მათი ხელახალი, გულისხმიერი გააზრება.

...ჯაფარიძეთა მთამსვლელური გვარის შესახებ ბევრი დანერვილა და კვლავაც ბევრი დაინერება. ორი ძმა – სიმონი და ალექსანდრე! ასეთი დიდი მსხვერპლი მოითხოვა კავკასიონმა, რომ ამ დიდი გვარის წინაშე თავი დაეხარა, ხოლო საქართველოს მთამსვლელობის დედამთავარს – ალექსანდრა ჯაფარიძეს ჭეშმარიტად შეუძლია თქვას, რომ კავკასიონის მწვერვალები მისი ღვიძლი ძმები არიან, უფროსი ძმა, სიმონი, მე, როგორც თეთნულდის ლეგენდა მახსოვს და წარმომიდგენია. ალექსანდრესთან (შინაურულად ალიოშასთან) მთამსვლურმა თოკმა და გულთბილი მეგობრის გზამ სამუდამოდ დამაკავშირა. იგი პირველად 1937 წელს, მყინვარწვერის თოვლიან კალთაზე იაგორას ნიშთან ვნახე. მანამდე მე, გზაგაუკითხავი, მარტოხელა მოხეტიალე მოგზაური ვიყავი. ხევე მოგზაურობისას, ალიოშა



ალექსანდრა ჯაფარიძე

ჯაფარიძის სახელოვან ხმას ავყევი და მეტეოსადგურში ავედი... ნამდვილი მთამსვლელობა ყველა წესებითა და სიძნელეებით, ხდება ხეობაში, შავანაზე ვნახე და აღვწერე კიდევაც. ასე დაიწყო ჩემი და ალიოშას დამეგობრება. ჩვენ არა მარტო თოკი და ძნელსავალი გვაახლოვებდა... განა მარტო მწვერვალებისა და ბუნების სიყვარული. ჩვენთვის მთამსვლელობა მარტო მთაზე მსვლელობა არასდროს ყოფილა, იგი ჩვენი ეროვნული ყოფით, ისტორიითა და გეოგრაფიით ნაკარნახევი ვაჟკაცური მოღვაწეობა იყო და არი!.. ალიოშას მეშვეობით ჩემს ანგარიშზე მომრავლ-

და მწვერვალები, გადასავლები მიუვალი გამოქვაბულები. თავის დროზევე ვეცადე ეს დაუვინყარი გზები







ლევან გოთუა მთამსვლელებთან ერთად

და დღეები კალმითა და წერაყინით აღმებეჭდა ჩემს ნარკვევებში. ასე იშვა ხდელადლეულნი, თეთრი სავალი, გაჟას სამყაროში, ხვამლის ციხეკვაბული, კაცხის სვეტის საიდუმლო და სხვა... ამ ნარკვევების კალამი თუ მე მეკუთვნის, წერაყინი და სული უსათუოდ ალიოშასია! (მაგნიტოფირი, ლევან გოთუას მოგონების სრული ჩანაწერით, მთამსვლელ ჯაფარიძეთა ოჯახში ინახება – ი. ჯ.).

ლევან გოთუა მდიდარი ბუნების პიროვნება იყო და მის ირგვლივ მრავალი ადამიანი იყრიდა თავს ბუნებრივია, მისი მეგობრობის მსურველნი მრავალნი იყვნენ, მაგრამ ბატონ ლევანს, როგორც ჩანს, მეგობრის შერჩევის უტყუარი ალლო და მკაცრი კრიტერიუმები ჰქონდა. მისი მეგობრები მასშტაბური პიროვნებები, ერის ჭირ-ვარამზე დაფიქებული, რომელსაც ბატონი ლევანი თავისი ოცნების დიდ მოზიარეს უწოდებდა. მასთან ერთად, მან მრავალი მღვიმე-გამოქვაბული გამოიკვლია და კავკასიონის ურთულესი მწვერვალებიც დალაშქრა ალიოშათან ერთად. ბატონი ლევანის დამსახურებაა, რომ დღეს კავკასიონზე არის ილიას, აკაკის გაჟას, სულხან-საბას, ნინოშვილისა და მარჯანიშვილის მაღალი პარნასები. პირველამსვლელთა უფლებით, მათ დაანათლეს მწვერვალებს ეს სახელები.

1944 წელს, ლევან გოთუა, ალიოშა ჯაფარიძესთან, აკაკი ბელიაშვილთან და არქიტექტორ ვახტანგ ცინცაძესთან ერთად იკვლევს მიუვალ კაცხის სვეტს ჭიათურის რაიონში. ხოლო 1945 წელს, დაძმა ჯაფარიძეთან, არქეოლოგ გიორგი ლომთათიძესთან, მხატვარ ვერა ბელეცკაისთან, ელენე აბაშიძესთან, ალექსანდრე ნემსინვერიძესთან და სხვებთან ერთად, აწარმოებს ხვამლის ციხე-ქვაბულის ყოველმხრივ გამოკვლევას. მათ ძირითად ქვაბულში არქეოლოგიური გათხრებიც ჩაატარეს. ციხე გაცლილიყო ნივთებისაგან.

ხვამლის ექსპედიციიდან სამი თვის შემდეგ, უშბა-შხელდის ტრავერსის დროს, დაილუპა ალიოშა ჯაფარიძე და მისი ჯგუფი. ლევან გოთუა მრავალრიცხოვან ჯგუფთან ერთად დაიძრა დასახმარებლად, მაგრამ უშედეგოდ... უკანასკნელი იმედიც გადაიწურა... ასე გაიყარა ლევან გოთუას და ალიოშა ჯაფარიძის ცხოვრების გზები.

ალიოშა ჯაფარიძის დალუპვიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, იმ ხანად არსებულმა რეჟიმმა, ლევან გოთუა ისევ დააშორა საქართველოს და კვლავ ციმბირის შორეულ გზებს გაუყენა.

რატომ? რისთვის? ეს კითხვები აწვალებდა და ტანჯავდა ყველა პატიოსან ქართველს, პირველ რიგში

თვით ბატონ ლევანს: ეს ვერ გამიგია, სამშობლო იმიტომ მიყვარს, რომ ასე შორს ვარ, თუ იმიტომ ვარ ასე შორს, რომ ასე ძლიერად მიყვარს სამშობლო. ამ კითხვაში პასუხიცაა! დიახ, ლევან გოთუასავით თავის სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანები საშიშნი იყვნენ იმდროინდელი ხელისუფლებისათვის. სამშობლოს ლევანისებური სიყვარული, იმ დროს, დანაშაულად ითვლებოდა...

ბატონ ლევანს გადასახლებაშიც არ ასვენებდა თავის სამშობლოზე, თავის ხალხზე დარდი და ფიქრი. იგი სიზმარშიც კი თავისი ქვეყნის სიმშვენიერეს, მის მთებსა და მწვერვალებს ხედავდა: ახლა უცებ მომინდა, მოეხვდე მანდ, გულით შევიგრძნო ქართული მზე, ხალხი, ჩემი სამშობლოს ყოველი კუნჭული, მივეგებო მას, მივეხმარო, მივწვდე სულში და გულში, მივესიყვარულო... უკანასკნელი გაზეთებიდან, რომელიც მე ხელში ჩამივარდა, გავიგე უშბა-შხელდის ტრავერსის შესრულების შესახებ, მეტად მიამა, ვაშა მათ!... ხელახლა განვიცადე ალიოშას ცხოვრების ზრახვანი და ტრაგიკული აღსასრული. რაც უფრო ვცდილები მისი დალუპვის თარიღს, დრო აწვრილმანებს, ცხრილავს და უფრო ნათლად აჩენს ალიოშას ჭეშმარიტ დიდბუნებოვან სახეს, ღვანლსა და ძალას. მის სწორუპოვარ და სრულად თავისებურ ხასიათს, საქართველოს მთამსვლელობაში ყველაზე უმაღლეს ბიოგრაფიას, მისი ცხოვრების თარიღები კავკასიონის მწვერვალებზეა გადათვლილი, გადანერილი! და თუ პირველყოფილმა საქართველოს ამირანის დიდი ლეგენდა შექმნა, თქმულება ალიოშა ჯაფარიძის შესახებ იმავე ჯაჭვში, იმავე სიცოცხლით, იმავე კავკასიონზე გამოიჭედა.



ალექსანდრა ჯაფარიძე

ლევან გოთუასათვის გადასახლებაში ცხოვრება ენით აღწერული სატანჯველია. მის წინაშე მრავალგზის დასმული ყოფნა-არყოფნის საკითხი, ხშირად იგი იმ გარდაცვლილი მეგობრის ბედსაც კი ნატრობს, რომელიც საქართველოს მიწაში განისვენებს: ჩემმა ცხოვრებამ მე თითქმის ჩამრეცხა კიდეც, გამიყინა სიცოცხლე, მაგრამ უფრო მტკივნეულად, უფრო მძაფრად გამიშიშვლდა გულში ჭრილობა ჩემი თავგადასავლის სახით... ეჰ, წერილს როცა ვწერ, თავი საქართველოში მგონია. მერე, რომ მომაგონდება შვიდიათას კილომეტრზე გაკიდებული მანძილი, შევაჩერებ წერას და გულისხმად გადავიქცევი. გული მიგრძნობდა, ამიტომ ვიყავი ასე დახარბებული ქართულ კუთხეებს, ქართულ არე-მარეს, ხეებს, ქართულ მწვერვალებს და ქართველ ხალხს. არა ერთხელ შემშურებია ჩემი ალიოშას ბედი, რომელსაც უშბის უბეში ვალმოხდილს სძინავს. მე ვერც ვალი მოვიხადე, ხოლო ძილისა კი სრულიადაც არა ვიცი რა, მაგრამ ჯერ ცოცხალი ვარ და შეძლებისდაგვარად ერის

ვალი მაინც მინდა მოვიხადო, სხვას რომ თავი დავანებოთ. ზეპირად, ასე შიგადაშიგ და ფრაგმენტულად წერა მეტად ძნელ-ცუდია, ზიანდება და კოჭლობს ფაქტების ისტორიული მხარე, ასევე მხატვრული დონეც, მაგრამ თუ ვინმე ამ სტრიქონებს წაიკითხავს – იცოდეს, თუ მოვიკოჭლე, ეს იმიტომ, რომ ხელ-ფეხზე იმდენი მათული მეხვია – მთელ დედამიწას შემოერტყმოდა.

როდესაც ამ წერილებს კითხულობ, ტკივილისაგან გული გეკუმშება, გრძნობ, რა განცდები იმალება ამ სტრიქონებს მიღმა, მაგრამ ისიც ნათელია, მხოლოდ ამალღებულ, სამშობლოს სიყვარულის უძლიერეს გრძნობას შეუძლია ამ ტკივილების ატანა. ლევან გოთუას არაადამიანური მოთმინებით იტანდა ამ ტკივილებს და თავისი ქვეყნის ცხოვრების რიტმს იმ შორეთშიაც ფეხსანყობილი მიჰყვებოდა.

ივანე ჯავახიძე  
სიმონ ჯავახიძე

გაგრძელება მომდევნო ნომერში

ყურძენს საწნახელში დაწურავენ, ჭაჭას წნეხში გაატარებენ, ამის შემდეგაც შეიძლება ყურძნის ერთი მარცვალი სადღაც სასწაულებრივად გადარჩეს... აი, ასეთ პირობებში შევინარჩუნე სიცოცხლე.

შოთა შავგულიძე



ჰიტლერულ ტყვეთა ბანაკში და სამშობლოში დაბრუნებული, კომუნისტურმა რეჟიმმა კიდევ უფრო სასტიკი და არაადამიანურ საბჭოთა დილეგებში გაგზავნა.

იმავე კომუნისტურმა რეჟიმმა მას რეაბილიტაცია მისცა. დილეგებში გატარებული წლები მისი ბიოგრაფიიდან ამოიღო, პედაგოგიურ სტაჟში ჩაუთვალა.

მეხსიერებამ დავიწყება ვერ შესძლო...

ამ მოგონებებით შოთა შავგულიძემ თავისი მეგობრების, საქართველოსთვის შეწირული, შეურაცხყოფილად ჩანყვეტილი მამულიშვილების წინაშე კიდევ ერთხელ მოიხადა ადამიანური ვალი.

## ერთი რწმენით გავლილი ფაშისტური და ჯოშუნისტური დილაგები

შიმშილითა და წყურვილითა, მრავალგზის ყინულობითა და შიშველობით გავლილი დღენი...

არის თესლი, რომელი გამოიღებს მომავალსა შინა ჯაცთა შორის დაუფასებელსა ნაყოფსა.


(ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, ტომი 1, 238-239, ქუთაისი, 1913 წ.).

უნივერსიტეტი დავამთავრე, ახალი ცხოვრება უნდა დამეწყო და მეორე მსოფლიო ომის ხახაში აღმოვჩნდი. 21 წელიწადი მატარა ბედის სიჯიუტემ, თუ დავემორჩილებოდი – მიმყვებოდა, თუ არ მიმართევდა. 43 წლის ასაკში შევძელი დაბურდული ცხოვრების ლაბირინთიდან გამოსვლა. ცოლი შევირთე, გავიდა წლები. ჩემი ქალიშვილი, უკვე ექიმი, თამარი, მეკითხება – მამა, ვიცი შენ ბევრი გაჭირვება გინახავს, მიაბზე, სად გადაიტანე ახალგაზრდობის მძიმე წლები?

– მართალი ხარ, შვილო, ბევრი რამ მინახავს, ბევრი რამ მსმენია, ბე-

ვრი ბედის თუ უბედობის მონაწილე ვიყავი, ცხოვრებას შიგნიდან ვიცნობ გარკვეული სიღრმიდან და უფლება არ მაქვს, ყოველივე ეს დავიწყებას მიეცეს. ვყოფილვარ რუსეთში, უკრაინაში, გერმანიაში... ვყოფილვარ პოლტავის ტყვეთა ლაგერში, ნოიჰამერის კავკასიელ ტყვეთა ბანაკში,

მიტენვალდის კავკასიელ ტყვეთა ბატალიონ ბერგმანში, ბერლინის ციხეში, გარმიშპარტენკირხენის ციხეში, ჰანაუს ტყვეთა ლაგერში, დიუმერ-



ემზარ კვიტაიშვილი

ლოჰაუზენის გლეხებთან მომუშავე ტყვეთა ბანაკში, გაქცევა ინგლისელების ზონაში – ოსნაბრიუკის სარეპატრიაციო ბანაკში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ციხეში, ორთაჭალის ციხეში, რუსთავის პატიმართა ლაგერში, პოლიტიკურ პატიმართა აჯანყება და გაქცევა,

რუსთავის იზოლატორში, თბილისის საგამოძიებო ციხეში, მოსკოვის ციხეში, ბაქოს ციხეში, როსტოვის ციხეში, მოსკოვის ციხეში, ვოლოგდის



ციხეში, ვორკუტის კატორღელთა ლაგერში რვა წელიწადი.

– ყველაზე მძიმე წუთები?

– ორჯერ სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა, ასეთი განაჩენის მოსმენა და სამჯერ საპატიმრო ადგილებიდან გაქცევა.

– ჩვენი ოჯახის ბიბლიოთეკაში დაცულ ლევან გოთუას გმირთა ვარამის მესამე წიგნზე ბატონი ლევანის წარწერაა – შოთა შავგულიძეს, თავადაც გმირთა ვარამის კაცს, ბევრის მნახველსა და გადამტანს, სწორედ იქ, სადაც ეს წიგნი იწერებოდა. სიყვარულით და ოჯახური ბედნიერების სურვილებით ავტორისგან. ბატონმა ლევანმა, გმირთა ვარამის კაცი გინოდა. რას გულისხმობდა?

– ზუსტად ვერ გეტყვი, ვფიქრობ, უპირველესად რუსთავის პოლიტიკურ პატიმართა აჯანყების მეთაურობას. აჯანყების ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა და გულაგის ბანაკებს მოედო. გადადიოდა ლაგერიდან ლაგერში, ციხიდან ციხეში, იხვეწებოდა, იზრდებოდა კიდეც და ვორკუტაში, სადაც იმ ხანებში ლევანი იმყოფებოდა, ლეგენდად იქცა. მოგვიანებით, უკვე ორჯერ ნასამართლევი მეც ჩამიყვანეს ვორკუტის კატორღელთა ბანაკში, ჩამაცვეს კატორღელის ტანსაცმელი, წინ – მკერდზე, უკან – ზურგზე და შარვლის მარჯვენა ტოტზე, თეთრ ნაჭრებზე წითელი საღებავით დაწერილი კატორღელის პირადი ნომერი 16-660 დამაკრეს და გამრიეს კატორღელთა ჯოგში, როგორც მას ლაგერის ხელმძღვანელები ეძახდნენ. შეიძლება ბევრმა არ იცის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 22 აპრილის ბრძანებულებით, შემოიღეს პატიმრობის განსაკუთრებული სასჯელი – კატორღული შრომა. ამ ბრძანებულების საფუძველზე, ვორკუტის იმ შახტებში, სადაც ქვანახშირის ამოღების რთული პირობები იყო, მკაცრი რეჟიმის კატორღული ბანაკები შეიქმნა.

აქ მყოფი კატორღელები მოწყვეტილი იყვნენ გარე სამყაროს. ოჯახის წევრებმა არ იცოდნენ მათი ადგილსამყოფელი. აკრძალული ჰქონდათ ქალაქი, ფანქარი, გაზეთი, წიგნი. კატორღული შრომა 2-3 საათით მეტს ითვალისწინებდა, ვიდრე ჩვეულებრივი პატიმრის შრომა. მძიმე მიწის ქვეშა სამუშაოებს ასრულებდნენ.

თავდაპირველად კატორღამისჯილები იყვნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გერმანელების სამსახურში მყოფი პოლიციელები, ბურგომისტები, გესტაპოს აგენტები და სხვა. მაგრამ 1947 წლიდან დაიწყო პოლიტიკური პატიმრების, განსაკუთრებით საშიში ნაწილის იზოლაცია და კატორღელთა ბანაკებში გადაყვანა.

ისევე ჩვენს საუბარს დავუბრუნდები, 1946 წლის მიწურულს დამაპტიმრეს, სახელმწიფო უშიშროების საგამოძიებო ციხეში ჩამსვეს ბრალდებით: 58-1ბ – სამშობლოს ღალატი, რაც დახვრეტას ითვალისწინებდა: 58-10 – კონტრრევოლუციური ორგანიზაციის თეთრი გიორგი წევრობა, ათ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა, უმძიმეს პირობებში – დახვრეტას: 58-11 – ანტისაბჭოთა პროპაგანდა, ათ წლამდე პატიმრობას ან დახვრეტას ითვალისწინებდა. ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალმა რუსი პოლკოვნიკის, კიტინის თავმჯდომარეობით გამასამართლა. სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მომისაჯა.

შემდეგ ათი წლით პატიმრობით შეცვალეს. 1948 წელს რუსთავის ლაგერში გადაიყვანეს. 2700 პატიმარს შორის, იყვნენ პოლიტპატიმრები, დიდი და პატარა ქურდები, ყოფილი სამხედრო ტყვეები. გაუკუღმართებული ცხოვრების შედეგად, შემთხვევით მოხვედრილი პატიმრები.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ქალაქის გასაშენებლად საცხოვრებელი სახლების – სასწავლო, სამედიცინო, კულტურული, სავაჭრო და სხვა დაწესებულებებისთვის საჭირო ობიექტების მშენებლობა პატიმრების მონური შრომით მიიზღავნებოდა. ბრიგადირებად და ბარაკის უფროსებად ქურდ-ბაცაცები ჰყავდათ. ლაგერის ბედ-ილბალს ისინი განაგებდნენ, ადმინისტრაცია მათ ნება-სურვილზე დადიოდა. ამ ყოფას ვერ შევგუებოდი. ჯერ კიდევ უშიშროების საგამოძიებო ციხეში, გადავწყვიტე, დაკითხვის დროს, რო-

მელიც მხოლოდ საღამოს საათებში მიმდინარეობდა, ხშირად გათენებამდე გრძელდებოდა, სასიკვდილოდ შევჭიდებოდი გამომძიებელს. რუსთავის ლაგერში მოქმედების დიდი ასპარეზი იყო. ადამიანების გაცნობას და საიმედო პირების ძიებას შევუდექი.

თებერვლის სუსხიანი დღე იყო, პატიმრები მიწას ვთხრიდით, მუშაობით დაღლილი და შიმშილით დასუსტებული პატიმარი მიწაზე ჩამოვდა. ბრიგადირმა შეამჩნია, უყვირა, – ბარს ხელი მოკიდე და იმუშავე. შემდეგ კეტი დაუწყო ცემა. ციხიდან რუსთავის ბანაკში ახალი გადმოსული ვიყავი, მესამე თუ მეოთხე დღე იყო, რაც ამ ბრიგადაში ჩამრიცხეს. ჩემს მიმართ უსამართლობას უფრო ადვილად ვიტანდი, ვიდრე ჩემს ბედში მყოფი ადამიანის. მივირბინე, ავაზაკს ზურგზე ბარის ტარი გადავარტყი. ის ახალგაზრდა და მეხუთი დღით კარცერში ჩაგვსვეს, ღამით ცალ-ცაკლე ვიყავით, გამთენიას გამოგვიყვანდნენ, საღამომდე მძიმე სამუშაოებს ვასრულებდით. ასე გავიცანი ყმანგილი პავლე მაგალობლიშვილი. სამტრედიიდან იყო. მამა 1937 წელს დახვრიტეს, დედა და ბებია ზრდიდნენ.

პავლე ეროვნულ მოძრაობაში სკოლის მერხიდან ჩაება. იატაკქვეშ მოქმედი პარტიულ ორგანიზაციის წევრი იყო. პროკლამაციების გავრცელება დაავალეს, პავლე მოხერხებულად საქმიანობდა – გათენებამდე, ან ზოგჯერ ღამის წყვდიადში, ქუჩებში, ლობებზე, ბოძებზე, სახლის ფასადებზე აკრავდა ფურცლებს. ერთ დღეს დამამთავრებელი კლასის მოსწავლე სახლში არ დაბრუნებულა. გზაში დააპატიმრეს, ჩანთაში ერთი პროკლამაცია უპოვეს, სადაც ეწერა: გერმანელებმა ჩრდილო-კავკასიას



შოთა შავგულიძე



შოთა შავგულიძე  
თამარის სამლოცველო, ვარძია



იქ არის ჩასასვლელი. შეყოყმანდნენ, მაგრამ ჩემი დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, პროკლამაციების გამოტანა მხოლოდ სახლიდან შემდეგ, ჩემები გააღვიძეს. პირველი ბებია გამოვიდა ტირილითა და შეძახილით, – რას გვერჩით, შვილი დახვრიტეთ, შვილიშვილს ლუპავთ, სამი ღამე მოსვენებას არ გვაძლევთ, სახლს ცეცხლი წაუკიდეთ და შიგ დაგვწვით.

– ბებო! – შევძახე და გადავეხვიე, ვკოცნი და მკოცნის, ვერ დაგვაშორეს – ეს ჩემი უმამოდ დარჩენილი შვილიშვილია, ვერ დაგვაშორებთ, აკანკალებული ხელებით მეხვეოდა და მკოცნიდა. ამასობაში დედა და ჩემი და გამოვიდნენ. იმ წუთების ზუსტი გადმოცემა შეუძლებელია, – მითხრა პავლემ და ცრემლები მოერიო. მცირე ხნით ორივე დავდუმდით, შემდეგ განაგრძო:

– როგორც იქნა დაგვაშორეს.

– ნუ გეშინიათ, – ამშვიდებდნენ დედას და დას (ბებიას არაფერი ესმოდა), – პავლემ ყველაფერი აღიარა, სასჯელს შეუმსუბუქებენ, მალე შინ დაბრუნდება, – მომესმა ჩეკისტების შხამნარევი სიტყვები.

– დედა, ტყუილს ამბობენ, არ დაიჯეროთ, – დედას შევძახე, შემდეგ ჩეკისტებს მივუბრუნდი. არავითარი პროკლამაცია არ მაქვს, ბებიას ნახვა მსურდა, ახლა კი წავიდეთ სასაფლაოსკენ, წამოიღეთ ბარი და წერაქვი, თქვენი განძრახვა სისრულეში მოიყვანეთ – დაჭექე დედას, დის, ბებოს, ალბათ მეზობლების გასაგონად. ხელები შემიკრეს, პირში ნაჭერი ჩამწარეს, ეზოდან გამომათრიეს და მანქანაში ჩამაგდეს, უკან დამაბრუნეს, მთელი გზა მცემდნენ, მაგრამ არ მტკიოდა!..

ემზარ კვიტაიშვილი

გაგრძელება მომდევნო ნომერში

მოაღწიეს, საქარელოში მოდიან, კომუნისტებმა და ჩეკიტებმა გასაქცევად ჩემოდნები გაამზადეს. სამშობლოს შევლა უნდა, ბრძოლით ვერაფერს გავხდებით, ქვეყანა დალუპვას გადავარჩინოთ.

პავლეს უძილო ღამეები, ტანჯვანამება დაიწყო – ალიარე ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური ბანდის წევრი ხარ, სტამბიდან პროკლამაციები გამოგქონდა და ავრცელებდი. დღისით დაკითვა, ღამით ცემა და დაკითხვა. პავლე იმეორებდა: დილით სკოლაში წასვლის დროს, ელექტრობოძზე გაკრული ფურცელი დავინახე, ჩამოვხიე და სკოლაში მივიტანე. სხვა არაფერი ვიცი.

– ასე გადიოდა ღამეები. პავლემ მიაშობო, ერთ საღამოს სასტიკად მცემეს, დამემუქრნენ, შენთვის უკანასკნელი ღამეა, თუ არ გვეტყვი, სად გაქვს პროკლამაციები, სასაფლაოზე მიგიყვანთ და იქ ჩაგაძაღლებთო. ისევ სადისტური წვალება. გონება დავკარგე, მოვსულიერდი, საკანში ჩამაგდეს, ჩამეძინა. სიზმარში ბებოსთან ვიყავი, მამაზე მიაშობოდა – ყველასთვის საყვარელი კაცი იყო, ჭკვიანი, პირდაპირი, მოკვდებოდა და ქედს არავის მოუხრიდა. გამეღვიძა, ავტირდი, საკანში გამომძიებელი და ორი უცხო პირი შემოვიდა.

– რა გადაწყვიტე? – მეკითხება გამომძიებელი.

– პროკლამაციები მაქვს, გადმოგცემთ – ვუპასუხე.

– ჰა, სიკვდილმა შეგაშინა? სიკვდილი მაინც არ აგცდება, თუ არ დაგვისახელე, სად იხეჭდებოდა პროკლა-

მაციები, მაგრამ... სად გაქვს გადამალული?

– ეზოში – ვუპასუხე.

– ზუსტად გვითხარი, სად...

– თქვენ ვერ მიაგნებთ, ზოგი სახლის ქვეშ მაქვს შენახული.

გამომძიებელმა სიგარეტი ამოიღო, მეც მომანოდა.

– არ ვეწევი, – ვუპასუხე.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როგორც ადამიანს ისე შემომხედეს.

– კიდევ მოიფიქრე, – მითხრეს და საკნიდან გავიდნენ.

ორი დღე არ შემანუხეს, შემდეგ გავიგე, ის ორი ღამე ჩემ სახლში ყველაფერი გადაანგრის. სახლის ქვეშ სარდაფშიც კი გათხარეს მიწა, ვერ იპოვეს. მესამე დღეს, ღამით მიმიყვანეს გამომძიებელთან. ის ორი უცნობი დამხვდა, მანქანაში ჩამსვეს, გამომძიებელმა ცივი ხმით მითხრა:

– ამ მანქანას ორი გზა აქვს, ერთი სასაფლაოსკენ, მეორე შენთან, სახლისკენ, საით ისურვებ?

ხმას არ ვიღებ, მანქანა დგას.

– ზუსტად იცი პროკლამაციების ადგილი?

– ვიცი.

– პავლიკას სახლისკენ წავიდეთ, – გადასძახა მძღოლს გამომძიებელმა.

სახლთან მიმიყვანეს. ღამის ორი საათი იყო. ეზოში შევედით, არავის გაუგია, მანქანიდან ბარი და წერაქვის მსგავსი გადმოიტანეს.

– საქმეს შევუდგეთ, – მითხრა გამომძიებელმა.

– სახლში უნდა შევიდეთ,







## ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერმა ფესტოსის დისკო გაშიფრა

1908 წლის 8 ივლისს, კუნ-  
ზულ კრეტაზე, საარქეო-  
ლოგო ქალაქ ფესტოში, მნოსის სასახლის ნანგრევების  
გათხრებისას, იტალიელმა არქეოლოგმა ლუიჯი პერნიმ  
თიხის ფირფიტა აღმოაჩინა, რომლის დიამეტრი 16 სანტი-  
მეტრია, წონა 380 გრამი, ფირფიტის ორივე მხარეს ნახატ-  
ნიშნებია ამოტვიფრული.

დისკო პირობითად ჩვენს ნელთალრიცხვამდე 1850-  
1600 წლებითაა დათარიღებული. ზოგი მეცნიერი მას  
ძველი ნელთალრიცხვით 2500-1600  
წლებით ათარიღებს. ამჟამად დისკო  
კრეტის მთავარ საპორტო ქალაქში,  
ჰერაკლიონის არქეოლოგიის მუზეუმ-  
ში ინახება. ფირფიტას აღმოჩენის ად-  
გილის მიხედვით ფესტოსის დისკო  
უნოდეს.

დისკოზე აღბეჭდილ ნიშანთა კომ-  
პლექსის გაშიფვრას ცდილობდნენ  
ძველ ენებზე დაყრდნობით (იონურ-  
ბერძნული დიალექტი, კვიპროსული,  
ხეთური, ლუვიური, ფილისტიმური,  
სემიტური და სხვა).

ფესტოსის დისკოს გაშიფვრა მრავალმა მეცნიერმა სცადა – სერ არტურ  
ევანსმა (ინგლისი), ალექსანდორ დე  
ლა სეტამ (იტალია), ელის კობერტ-  
მა (აშშ), მაიკლ ვენტრისმა (ინგლი-  
სი), ჟან ფოგუნომ (საფრანგეთი), ჟან  
პიერ ოლივიემ (ბელგია), ვიქტორ კა-  
ენმა (გერმანია), ივ დიუმომ (ბელგია),  
ლუი გოდარმა (იტალია), დიტერ რუმ-  
ფელდმა (გერმანია), ქრისტოფ ჰენკემ (გერმანია), ვარეთ  
ოუენმა (საბერძნეთი), ტორსტენ ტიმმა (გერმანია), ფრან-  
სუაზა როსმონემ (საფრანგეთი), ჰერბერტ ტეიხმა (ავსტო-  
რია).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰერბერტ ტეიხის ჰი-  
პოთეზა, ის ამტკიცებდა, რომ წინაბერძნული მოსახლეო-  
ბის ენა, კერძოდ პელაზგურ-ქართველურ ენათა დედაა.  
ტეიხმა 1988 წელს ბუდაპეშტში, იერენის კომიტეტის  
XVIII საერთაშორისო კონგრესზე განაცხადა, – ფესტოსის  
დისკოს წარწერის ენა პროტოქართული – კოლხურია.

წინაბერძნული მოსახლეობის ენისა და კავკასიური ენე-  
ბის ნათესაობის შესახებ, ჰიპოთეზები გამოთქვეს გამოჩე-  
ნილმა მეცნიერებმა – ვილჰელმ ჰუმბოლტმა (გერმანელი  
ენათმეცნიერი, ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე),  
ანტონ მეიემ (ფრანგი ენათმეცნიერი), ედუარდ შვიცერ-  
მა (შვეიცარიელი ენათმეცნიერი, ძველბერძნული და ბერ-  
ძნული დიალექტების სპეციალისტი). ფრიც შახერმეიერმა  
(ავსტრიელი ენათმეცნიერი, ისტორიკოსი), სიმონ ყაუხ-  
ჩიშვილმა (აკადემიკოსი, ფილოლოგი). არნოლდ ჩიქობავამ  
(აკადემიკოსი), სიმონ ჯანაშიამ (აკადემიკოსი, ისტორიკო-  
სი), ვლადიმერ გეორგიევმა (ბულგარელი ენათმეცნიერი),  
აკაკი ურუშაძემ (ლიტერატურათმცოდნე, წყაროთმცოდ-  
ნე), ედგარ იოანე ფურნიემ (ჰოლანდიელი ენათმეცნიერი),

თამაზ გამყრელიძემ (აკადემიკოსი, ენათმეცნიერი, აღმოსა-  
ვლეთმცოდნე), რისმაგ გორდუზიანმა (აკადემიკოსი, კლასი-  
კური ფილოლოგიის სპეციალისტი), ზვიად გამსახურ-  
დიამ (ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მწერალი).

ამას წინათ, ჩემს ახალგაზრდა მეგობარს, მირიან ხუ-  
ბუკელაშვილს ქუთაისიდან მამამ დაურეკა და უამბო გა-  
ზეთ ასავალ-დასავალში დაბეჭდილი სტატიის შესახებ.  
რომელიც მათემატიკოს გია კვაშილავას სენსაციური აღმო-  
ჩენას ეხებოდა. ბატონი თენგიზი შვილს გაზეთის გამოგ-  
ზავნასაც დაჰპირდა.

მეორე დღეს არიზონას შტატიდან  
ჩემმა მეგობარმა ემილ დამიხანჯიამ  
დამირეკა და საოცრად აღელვებულ-  
მა, აფორიაქებულმა წამიკითხა ჯაბა  
ხუბუას სტატია – მათემატიკოსი გია  
კვაშილავა ამტკიცებს, რომ ქართული  
ენა და სახელმწიფოებრიობა ოთხია-  
თასი წლისაა! იმავე დღეს ექსპრეს-  
ფოსტით გაზეთიც გამომიგზავნა.  
იმდენი გულისმომკვლელი ამბები  
გვესმის ჩვენი ტანჯული სამშობლო-  
დან, ამ ცნობამ ელექტრო შოკივით  
იმოქმედა: ყოველგვარი პრობლემა  
დროებით გადაგვავიწყდა და იმედის  
ფრთები შეგვეცხა.

თბილისში დავრეკე, ჯაბა ხუბუას  
დიდი მადლობა გადავუხადე დროებით  
ამერიკაში მცხოვრები ჩემი მეგობრის  
სახელით და გია კვაშილავას ტელე-  
ფონი ვთხოვე. როგორც ველოდი, იგი  
თავაზიანი ახალგაზრდა აღმოჩნდა,

გია კვაშილავაზე გულთბილად ისაუბრა, ტელეფონი ჩა-  
მანერინა, თან დასძინა, – ახლახან იმავე თემაზე ჩემი მე-  
ორე წერილი დაისტამბაო, რომელშიც ფესტოსის დისკოს  
საგალობლის პნკარედი თარგმანი ყოფილა დაბეჭდილი.  
შემპირდა სხვა ავტორთა პუბლიკაციებსაც მოიძიებდა და  
გამომიგზავნიდა. მოგვიანებით გაზეთებიც მივიღე.

შეუძლებელია, აუღელვებლად წიკითხო ჯაბა ხუბუას  
მეორე წერილი – აღმოჩენილია მსოფლიოში პირველი რე-  
ლიგიურ-ლიტერატურული დოკუმენტი, – კოლხური საგა-  
ლობელი.

სალამოს გია კვაშილავას დავურეკე, საოცარი გრძნობა  
დამეუფლა... ვესაუბრებოდი ადამიანს, რომელმაც ამ დუ-  
ხჩირ ყოფაში ღირებულებათა გადაფასების, მეცნიერების,  
განათლებისა და ხელოვნების დაკნინების ჟამს, როცა  
ხალხის მთავარი საზრუნავი ფიზიკური გადარჩენა გამხდა-  
რა, – ცხოვრების მთავარ მიზნად მეცნიერების სამსახური  
აირჩია.

საბედნიეროდ, ჩვიდმეტი წლის თავდადებული კვლევა-  
ძიება წარმატებით დასრულდა. ქართველმა მეცნიერებმა  
მის მიერ შემუშავებული მეთოდებით, შეძლო სრულიად  
გაეშიფრა ფესტოსის დისკოს ტექსტი, რომლის საიდუმლო-  
ებების ამოხსნას ასი წელია ამაოდ ცდილობდნენ მეცნიე-  
რები...



ფესტოსის დისკო



– ეს ისეთი აღმოჩენაა, რომელმაც შესაძლოა ისტორიის მდინარეა შეცვალოს, – წერს ჯაბა ხუბუა.

პირველი აღიარებებიც მოვიდა. გია კვაშილაძე 2007 წლის 23 თებერვალს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს. ხოლო ამავე წლის 15 ივლისს, – საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად.

– აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, 27 ივლისს, – საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად.

– ბატონო გია, გულწრფელად გილოცავთ ამ დიდ წარმატებას. რამ განაპირობა ფესტოსის დისკოთი თქვენი დაინტერესება?

– მაშინ ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლაში ვსწავლობდი, 1989 წლის 13 დეკემბერს გაზეთ *სახალხო განათლებაში* ნავიკითხე ავსტრიელი მკვლევარის ჰერბერტ ძეხიშის ჰიპოთეზა, ფესტოსის დისკოს წარწერის ენა პროტოქართულია, ბატონი ძეხიში ამტკიცებდა, წინარეზერძნული მოსახლეობის ენა, კერძოდ, პელაზგური, ქართველურ ენათა დედაა.

იმ დღიდან მოსვენება დავკარგე, გადავწყვიტე შემესწავლა და მისი გაშიფვრა მეცადა, სწორედ ამიტომ დავეუფლე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათემატიკურ ლინგვისტიკას.

ფესტოსის დისკოზე ამოტივფრულია სამოცდაერთი სიტყვა და 244 ნახატ-ნიშანი, რომელიც ფირფიტის ორივე მხარეს ოქროს ყალიბითაა ამოტივფრული.

ჩემს მიერ შემუშავებული მათემატიკური მეთოდებით დისკოს ტექსტი სრულად გავშიფრე.

ჩემს სამასგვერდიან ნაშრომში, რომელიც უახლოეს დროში უნდა დაიბეჭდოს ქართულ და ინგლისურ ენაზე, ვასაბუთებ, რომ კოლხი კირიბანტების მიერ შექმნილი კირიბიშის, კირიბის, ანუ წერილ-ფირფიტის ფესტოსის დისკის წარწერის ენა ქართველურია, კერძოდ, კოლხური, ანუ მეგრულ-ლაზური, კირებზე ამოკვეთილ წარწერას კირიბიში ეწოდა. სიტყვის ფუძეა კირიბი, რაც მეგრულად კრავს ნიშნავს. იმავე ფუძისგანაა წარმოებული სიტყვა დიკორიბუა, რაც მეგრულად ამოტივფრვას, ამობეჭდვას ნიშნავს.

ცნობილია, კოლხებს ჰქონდათ დამწერლობა, რომელსაც საიდუმლოდ ინახავდნენ, მას ოქროდამწერლობა ერქვა. ოქროდამწერლობით შექმნილი ტექსტებით ქურუმები ღვთაებებს საგალობლებს უძღვნიდნენ.

კოლხური დამწერლობის შესახებ ცნობები დაცულია ბერძენი ავტორების – ევჰემეროსის, ხარაქს პერგამონელის, იოანე ანტიოქიელისა და თესალონიკეს მთავარეპისკოპოსის ევსტატეოსის თხზულებებში.

კოლხურ დამწერლობაზე, კირებზე ცნობები შემოგვინახეს ძველბერძენმა ავტორებმა – კრატინემ, ლისიამ, პლატონმა, თეოპომპე ქიოსელმა, ტიმეოსმა, აპოლონიოს როდოსელმა, არისტოფანე ბიზანტიელმა, აპოლოდორე ათენელმა, სტრაბონმა, პლუტარქემ და სხვა.

ჩემს ნაშრომში ვასაბუთებ, ფესტოსის დისკოზე აღბეჭდილი ნახატ-ნიშნები, კოლხური ოქროდამწერლობაა. ხოლო ტექსტი წარმოადგენს საგალობელს – ნენენას, რომელიც აიანეშკარის მფარველ, პელაზგიურ-კოლხური ნაყოფიერების დიდ ღედღვთაებას – ნანას, ანუ რეა კიბელეს ეძღვნება.

უძველესი ქართველური ტომების ენა ამჟამად ნაწილობრივ შემონახულია მეგრულ-ლაზურში, სვანურში და იმ ძველქართულში, რომელიც სულხან-საბას ლექსიკონშია თავმოყრილი.

სწორედ ან ენებში დაცული სიტყვების ძირების საფუძველზე შევძელი ფესტოსის დისკოს ტექსტის გაშიფვრა.

– ბატონო გია, როგორ შეხვდნენ თქვენს აღმოჩენას უცხოელი მეცნიერები?

– მაღლობით უნდა აღვნიშნო, უკვე მივიღე უცხოელი მეცნიერების – ქეით მესის (აშშ), მარკო კორსინის (იტალია), ტორსტენ ტიმის (გერმანია), დიტერ ვალმინგის (შვედეთი), დიტერ რუმფელდის (გერმანია), ჰედვიგ რულავინკის (ნიდერლანდები), ჰერმან ძეხიშის (ავსტრია) წერილები. სულ შვიდიანთა სხუთასზე მეტი გამოხმაურება მივიღე როგორც საქართველოდან, ისე უცხოეთიდან.

უცხოელი კოლეგები დაჟინებით მთხოვენ ვრცელ ინფორმაციას ჩემი კვლევის მეთოდებსა და მიღებულ შედეგებზე. ამიტომ ჩემთვის ამჟამად უპირველესი ამოცანაა ჩემი ნაშრომის წიგნად გამოცემა.

ძველი ქართული მწერლობა

ქვეყნის მდგომარეობა და ინტერესები, მათი აზრი და სიტყვა მნიშვნელოვანი მუხტის შემცველია და ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ერის წინამძღოლზე. საბას აზრით, მეფის მრჩეველი – გონიერი, დინჯი, სიტყვამარჯვე, აუგის არმთქმელი უნდა იყოს, არ დაივინყოს ნათქვამის დრო და ვითარება.

ძველმა ქართულმა მწერლობამ მრავალი ისეთი პრობლემატური საკითხი დააყენა, რომლებიც დღესაც და ყოველთვის საჭირო იქნება ერის სასიცოცხლოდ, არ გამოჩენიან და ყურადღების მიღმა არ დაუტოვებია არცერთი მოვლენა, რომელიც ერის გადარჩენას, განმტკიცება-გაძლიერებას, შემოქმედებით-ინტელექტუალურ თუ ყოფით ცხოვრებას შეეხებოდა. ძველი ქართული მწერლობა არა მხოლოდ წარსული დროის ქომაგია, არამედ სამომავლო გზის გამკვლევიცაა.

ჯუმბერ ჯიშკარიანი

ფლორიდა, აშშ





## ნაგომარის ჩაის სახლი

ლენა და გიგლა ნაჭყეები



გურიაში ჩაის კულტურა უცვლელია – ასეთი სათაურით დაიბეჭდა ინტერვიუ ჟურნალ გურიაRegion 2025 წლის იანვრის ნომერში, ანასეულის კვლევითი ცენტრი ქართული ჩაის ცნობადობის ამაღლებაზე ზრუნავს. 2021 წელს კოლხეთის ფარგლებში მოქცეული დაცული ტერიტორიები (UNESCO) მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა, რაც ბუნებრივი ობიექტების საერთაშორისო აღიარებას ნიშნავს. გურიაში წითელმინა და ყვითელმინა ნიადაგებია გავრცელებული და განსაზღვრავს ნახევრად სუბტროპიკულ ხასიათს. ამიტომ რეგიონში ადგილობრივი ხეხილისა და ვაზის ჯიშის გარდა, ხარობს ჩაი, ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, გრეიფრუტი და სხვა.

მკითხველებს დავპირდით, ჟურნალი გურული ჩაის პოპულარიზაციაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

ნაგომარის ჩაის საუკეთესო გემოვნური თვისებები აქვს. ძმები ნაჭყეები მენარმე გიორგი გოგიშვილმა გამაცნო. დიდთოვლობის შედეგად, ასკანაში ბატონი გიორგის საწარმო დაზიანდა. ჩაის პლანტაციები აღდგენას საჭიროებს. სოფლის განვითარების სააგენტომ მენარმეს დახმარების ხელი უნდა გაუწოდოს.

კახა ნაჭყეიას ჩაის პლანტაციებისა და ფაბრიკის დასათვალისწინებლად ნაგომარში ვენვით. საინტერესო რესპონდენტი თავის სოფელზე და ცნობილ ადამიანებზე მომითხრობს: ნაგომარი გურიელების ზამთრის რეზიდენცია და სამოურავო იყო, მათი მოურავები გუგუნავეები იყვნენ. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ნაგომარი ასკანის სასოფლო-საზოგადოებაში იყო გაერთიანებული. საბჭოთა დროს მახარაძის რაიონში ყველაზე მდიდარი კოლმეურნეობა ჰქონდათ – ნაგომარის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას, 1957 წელს საქართველო ეწოდა, წამყვანი დარგი მეჩაიეობა (278 ჰა, ციტრუსი 4 ჰა). თემი ოთხი სოფლისგან შედგება – ნაგომარი, ჟანაურა, ენერი და შუა ის-

ნარი. ნაგომარი მდინარე სუფსის მარცხენა სანაპიროზე, ტყე-ნაკრძალ წყავის შტოს ირგვლივ მდებარეობს. განვითარებას იწყებს ტრადიციული დარგი მეჩაიეობა, ფუნქციონირებს ორი მიკრო-ფაბრიკა. ჩაის და მოცვის წარმოება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ადგილობრივების დასაქმებაში, შეაჩერებს რეგიონისთვის ყველაზე მტკივნეულ, ახალგაზრდების მიგრაციის პროცესს.

ნაგომარში ცნობილი ქართული ფილმებია გადაღებული – ჭრიჭინა, შეხვედრა წარსულთან...

აქ მწყემსები იყვნენ, გომურები ჰქონდათ, სწორედ აქედან მოდის ნაგომარის დასახელება. თედო სახოკიას მოსაზრებით გომი ფარებს ნიშნებს, ნაგომარი კი ნაფარებალს. პოემა თამარიონის ავტორი სიმონ გუგუნავე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სოფლის საგანმანათლებლო და კულტურულ განვითარებაში, მის სა-



სიმონ გუგუნავე მფუღელსთან და დასთან ერთად

ხელთანაა დაკავშირებული პირველი სამრევლო სკოლის გახსნა, მის სახლში იყო პოეზიის სასახლე, ხშირად სტუმრობდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები. XX საუკუნის ცნობილი ადამიანები, მომღერალი ზაურ ბოლქვაძე, მსახიობი მერაბ ნინიძე, დიდ ნაკვეთს შეხედეთ, იქ მერაბი სახლში აშენებს. ბიძა საქართველოს დამსახურებული არტისტი, ოზურგეთის საპატიო მოქალაქე გიგლა ნაჭყეია, 11 მაისს პროფკავშირის კულტურის ცენტრში საიუბილეო საღამო გაიმართება. გეპატიუებით.

– მაღლობა.

– ბატონო კახა, გურიის სოფლები თითქმის დაცლილია!..

– ნაგომარში 400-მდე კომლი ცხოვრობს, სულ მიტოვებული 10%-ია. საზღვარგარეთ წავიდნენ. ედუარდ შევარდნაძის მმართველობიდან 2012 წლამდე პოლიტიკოსებს მარტო არჩევნების დროს ვახსენდებოდათ. ადგილობრივებს



კახა ნაჭყეია, გიორგი გოგიშვილი





შრომის ინტერესი და მოტივაცია დაეკარგათ, 2012 წლიდან ამოქმედდა პროგრამები. თბილისში წასული ხალხი დაბრუნდა. 2016 წლიდან მიმდინარეობს პროგრამა ქართული ჩაი, რომლის მიზანია საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის გაზრდა და ადგილობრივი ჩაის წარმოების ხელშეწყობა, თვითუზრუნველყოფის ამაღლება და ექსპორტზე გატანა. შეხედეთ, მოცვის პლანტაციები დიდ ფართობებზეა გაშენებული, ახლაც თავჩარგული შრომობენ.

– მოცვის პლანტაციების ასეთი მასშტაბი მართლაც მოულოდნელი იყო. ნაგომარის ჩაის ფაბრიკას მიუზახლოვდით. ნაჭყებიების პლანტაციებს კურორტი გომის მთა დაჰყურებს, საუკეთესო ჰავა ჩაის ხარისხს კიდევ უფრო ზრდის. გურულების საყვარელ კურორტზე ეროვნული პარკი დაარსდა.

2014 წელს კახა და ჯონი ნაჭყებიებმა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია და მაღალი ხარისხის ჩაის წარმოება დაიწყეს. გურიაში და მთელ საქართველოში ნაგომარის ჩაი მოსწონთ. გავლენიანმა გამოცემამ ვაშინგტონ პოსტმა ძმებ ნაჭყებიებზე ვრცელი პუბლიკაცია მოამზადა.

– ჯონი ცოლ-შვილთან ერთად თბილისში ცხოვრობს, ქალიშვილმა ოზურგეთის საჯარო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, უმაღლესში ჩაირიცხა, 100%-ის გრანტი მოიპოვა, შვილებს იქ უფრო მიაქცევენ ყურადღებას. ჩაის ფაბრიკის გახსნა ჯონის ინიციატივა იყო. ოჯახში ჩაის სიყვარული ტრადიცია იყო, ჩვენი და ნინო ნაჭყები 11 წლის უფროსია. ის პირველი მექანიზატორი ქალია, ტრაქტორზე დაჯდა და ჩაის კრეფდა. მამა,

მურმან ნაჭყები 1994 წელს გარდაიცვალა, დედა, იზო მხნედ გამოიყრება, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ. წელიწადში 20 ტონა ჩაის ფოთოლს კრეფდნენ. გვექონდა პატარა საგრები, როლერი, ხის საშრობი, სოფლები ფეხით შემოვიარეთ, ჩავატარეთ აღწერა, იყო თუ არა საკმარისი რესურსი – ფართობების რაოდენობა. ყველა ოჯახში მივედით, დავაზუსტეთ, რამდენი მიწა ჰქონდათ. შემდეგი ეტაპი იყო დაფინანსების მოძიება, ჩვენს სიძეს რკინის შემდუღებელი საწარმო ჰქონდა, იქ კუსტარულად მოვანყვეთ, რთული გზა გავიარეთ, – უცნობი პროდუქცია, არაპროფესიონალები, დავით თენიშვილი გვინევდა კონსულტაციას. აწარმოე საქართველოს პროგრამაში გავიმარჯვეთ, 40 000 ლარით დაგვაფინანსეს, დიდი საშრობი ვიყიდეთ. ქარხანა ჩვენი სახსრებით ავაშენეთ, აგრო სესხის ფარგლებში 30%-ს ჩვენ ვიხდით, დანარჩენს სახელმწიფო აფინანსებს. თავდაპირველად ამ შენობაში კოოპერატივი დავაარსეთ, არ გაამართლა, ვფიქრობ, ქართველი ფერმერები ჯერ მზად არ არიან.

– რა არის მთავარი დაბრკოლება?..

– კოოპერაციის იდეა კარგია, ყველა თავის წილს იღებს. თუმცა საქმის კეთებას სხვას სთხოვენ. ორჯერ შეიქმნა კოოპერატივი და მაშინვე გავაუქმე. როცა სოფლის მეურნეობა გაძლიერდება, ჩვენ მაინც მივალთ კოოპერაციასთან. ჩაის კულტურა და წარმოება უკვე შვილიშვიტ გვიყვარს, პლანტაციებს თავს ვეველებით.

– თქვენი მონდომება და შრომის სიყვარული, სხვა მეწარმეებისთვის მაგალითის მიმცემია, რამდენ ჰექტარს ფლობთ?..







– შიშველი ხელებით დავინწყეთ, მეზობლებში ვკრეფდით, აქ ტყე იყო, გავასუფთავეთ, 6000 კვ.მ-ი გვექონდა, ახლა 20 ჰექტარი ჩაის პლანტაცია გვაქვს. 10 ჰექტარია რეაბილიტირებული, რამდენ პროდუქციასაც ვყიდით, იმ ოდენობას ვამუშავებთ, – გაკრეჭა, სასუქები. საბედნიეროდ, კარგი მცენარეა, არ ხმება...

**– ნაგომარის ჩაი საუკეთესო გემოვნური თვისებებით გამოირჩევა, ნიადაგთან ერთად, კარგი კლიმატური პირობებია?**

– თქვენ ხედავთ გომის მთის დათოვლილ მთებს – მაის-ივნისამდე არ დადნება, სწორედ ამ დროს იკრიფება ჩაის ფოთოლი, როგორც ხაშმის საფერავია განთქმული, ასევეა ნაგომარის ჩაი. ბუჩქის ჯიშსაც აქვს მნიშვნელობა. რეჟისორ სიკო დოლიძის ახლო მეგობარი იყო შალიკო სარიშვილი, ნაგომარში საუკეთესო ჯიშების დარგვა მისი დამსახურებაა. ახლაც ვიმკით პატრიოტი ადამიანების სიკეთეს.

წყაყის შტოს ნაკრძალში ორსართულიანი სასტუმრო იდგა. ტერიტორია შვლებითა და გარეული ღორებით იყო სავსე. აქ ლეონიდ ბრეჟნევი ნადირობდა. დიდი ჩაის ფაბრიკა გვექონდა, ყოველდღე 130 ტონა ფოთოლს კრეფდნენ. ნახევრადმუჟავიანი ნიადაგია, ამიტომ მოცვიც კარგად ხარობს.

**– მოცვის ნაყენზე და მწვანე ჩაიზე გვიამბეთ, რატომ უნდა ვიყიდოთ?**

– კავკასიური მოცვი აჭარა-გურიის სუბალპურ ტყეებშია გავრცელებული, ცნობილია კავკასიური მოცვის სახელით. მოცვის ნაყენს მომწავო-მოტკბო გემო აქვს. ტრადიციულ მედიცინაში გამოიყენება. კარგი შეკითხვაა, – რატომ უნდა იყიდოთ? – კუჭ-ნაწლავს ანესრიგებს, მხედველობასა და სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს, ორგანიზმიდან ტოქსინებს გამოჰყოფს, რეკომენდირებულია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის, მოცვის სისტემური მიღება ორგანიზმის ფუნქციას, ტვინის მკვდარ უჯრედებს აღადგენს. ვიტამინებით, მინერალებითა და ანტიოქსიდანტებით მდიდარი მწვანე ჩაის დასამზადებლად ახალგაზრდა ფოთოლი გამოიყენება. მინიმალური ფერმენტაცია და განსაკუთრებული ტექნოლოგია გემოვნურ და სამკურნალო თვისებებს უნარჩუნებს. მწვანე გრეხილი ჩაის ნაყენს რბილი არომატი აქვს. შეგიძლიათ დღის განმავლობაში მიირთვათ.

**– როგორ ხდება პროდუქციის რეალიზაცია?**

– ჟურნალის მკითხველებმა პირველ რიგში უნდა იცოდნენ, ქართული ჩაი ფეხს იდგამს, ცნობადობა იზრ-

დება. საქართველოში 100 ტონა ჩაის მოიხმარენ, ჩვენ 20-30 ტონას ვაწარმოებთ. ყველა მეჩაიეს ერთმანეთში მჭიდრო კოორდინაცია უნდა გვექონდეს, ჩემი პროდუქცია სასტუმროებში შემაქვს, ქსელურ მარკეტებთან არ ვთანამშრომლობ, სასტუმრო შერატონ თბილისთან მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა, 2000 ცალი ერთჯერადი ჩაი შევიტანეთ, იმედია, შეკვეთა გაიზრდება. ჩვენ შორის არ არის კონკურენცია, ჩაის მწარმოებლები კარგი მეგობრები ვართ.

**– როგორ გეხმარებათ მეწარმეებს სახელმწიფო?**

– 9 ჰექტარი პლანტაცია იჯარით ავიღეთ, წელიწადში ერთ ჰექტარს 50 ლარად გვაძლევს, ერთი ჰექტარის რეაბილიტაციის დროს 3000 ლარით გვეხმარება. სხვადასხვა დანადგარებს გვჩუქნის – როლები, საშრობები და სხვა. ყოველ წელს წინ ვდგამთ ნაბიჯს, დიდი გამოცდილება მივიღეთ. მოვალეობებს ვინაწილებთ, მაგალითად, თუ საქმეს დასჭირდა, ჯონი თბილისში ფეხით ჩავა. დათოს თენიშვილის შვილმა, გაბომ კომპიუტერი და ინგლისური კარგად იცის, ამ მხრივ გვეხმარება. დათოს და ჩემი ფუნქცია საწარმოში საქმიანობაა.

**– ერთ-ერთ შეფუთვას ქანთარია ანერია, ქართული ანბანიდან გაფორმებული, ქართველი მწარმოებელია?**

– რაიხსტალზე დროშა ვინც აღმართა – მელიტონ ქანთარიას შვილთაშვილია. ჩემს პროექტსაც აფასოებს და მოსკოვში ყიდის. იქ დაიბადა და გაიზარდა.

**– ნაღდ გურულებზე მკითხველებს ექსკლუზიურად ჟურნალი გურიაRegion მოუყვება. რატომ ნაღდი გურულები?**

– ნაღდი გემო აქვს, ამიტომ დავარქვით. ჩაის მწარმოებლები – ნაჭყებიები, დავით თენიშვილი და მალხაზ ლიპარტელიანი გავერთიანდით. ერთჯერად შეფუთვაში სამივეს პროდუქტია მოთავებული. სასტუმროს მფლობელებს სურთ ქართველ მეწარმეებს დაეხმარონ. ორბი ჯგუფი გამოგვეხმარა, ჩვენი პროდუქცია უკვე შეაქვთ. ჩვენი მიზანია, ყველამ გაიგოს ნაღდი გურული ჩაის გემო.

ნაღდ გურულებს ბევრი მომხმარებელი ეყოლება, არა მარტო ტურისტები საქართველოში მცხოვრებლებიც... ბატონ კახას და ბატონ გიორგის დავემშვიდობე, დავპირდი, ჟურნალის მკითხველებს ბევრ გურულ მეწარმეს და ქართულ პროდუქციას გავაცნობ.

ნაღდმა გურულებმა სტარტი აიღო!..

წარმატებებს ვუსურვებთ...

ლელა სურმავა

## ლევინის დედა ჩოხატაურის სცენაზე



რეჟისორი რუსუდან კობიძე

ჩოხატაურის ხელოვნების სასახლემ, თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმეყრებელთა თეატრს უმასპინძლა. წარმოდგენილი იყო სპექტაკლი – ლევინის დედა. სცენაზე ნამეტია ბერძენიშვილისა და ვალოდია გოგუაძის ცხოვრება გაცოცხლდა. პიესის ავტორი ნამეტია მძიმე ვილიშვილი ნანა კაკაბაძე გახლავთ, ხოლო სპექტაკლის რეჟისორი ქალბატონ ნანას ქალიშვილი რუსუდან კობიძე. ასევე უნდა აღინიშნოს ვალოდია გოგუაძის როლს ასრულებდა ვალოდიას ძმის შვილთაშვილი რატი გოგუაძე. მთავარი გმირი ნამეტია კი ქეთევან ქიტიაშვილმა განასახიერა.

მოზარდმეყრებელთა თეატრის მსახიობებმა საოცარი უშუალოებით გააცოცხლეს თითოეული პერსონაჟი. მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს შემოქმედებით ჯგუფს. ეს სპექტაკლი სამუდამოდ აღიბეჭდება ჩოხატაურელი მაყურებლის მეხსიერებაში.

სპექტაკლის ბოლოს რეჟისორმა რუსუდან კობიძე მადლობა გადაუხადა მაყურებელს ასეთი გულთბილი მიღებისთვის. თეატრის დასს მიესალმა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კუჭავა, რომელმაც სასიხარულო ინფორმაცია გააუღწერა, მიმდინარეობს მუშაობა სოფელ შუა ფარცხმის ტყე-პარკისთვის ნამეტია სახელის მინიჭების საკითხზე. აქვე გვინდა გამცნოთ ჟურნალისტ თემურ მარშანიშვილის მოსაზრება, რომ იგი მიესალმება ლევინში იმ კულტურულ ღონისძიებებს და სარესტავრაციო სამუშაოებს, რაც იქ ჩატარდა. მადლზე მარილის მოყრა იქნება თუ ლევინში ნამეტია ძეგლიც დაიდგმება, ლევინის დედა ნამდვილად ღირსია, რომ მისი პორტრეტი ეკაშიც ამეტყველდეს. ჩვენც ვუერთდებით ამ სურვილს.



მოკლედ მოგახსენებთ სპექტაკლის მთავარი გმირების ბიოგრაფიას. ნამეტია ბერძენიშვილი დაიბადა 1891 წლის 3 მარტს ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუა ფარცხმაში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო (სამედიცინო) ფაკულტეტზე. მე-2 კურსის სტუდენტი იყო, როცა ცოლად გაჰყვა საქართველოს სახალხო გვარდიის ჯავშნოსანი მატარებლის მათაურს ვალოდია გოგუაძეს. დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში ვალოდია გოგუაძე თავისი თანამებრძოლებით შიშის ზარს სცემდა ქვეყნის მტრებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. ნამეტია მიატოვა უნივერსიტეტში სწავლა და ოზურგეთელ მეუღლესთან ერთად იბრძოდა სახალხო გვარდიაში. 1921 წელს სტამბოლში ჩააკითხა დაჭრილ მეუღლეს. 1923 წელს ისინი რუმინეთ-პოლონეთის გავლით პარიზში ჩავიდნენ და თავი ლევინის მამულს შეაფარეს, სადაც მათ ააგეს ნალია გურულ ყაიდაზე. მოჰყავდათ სიმინდი, ამზადებდნენ ყველს და თაფლს, აყენებდნენ ღვინოს.

ნამეტია ბერძენიშვილის ინიციატივით შეგროვებული იქნა თანხა, რომლითაც შეიძინეს მიწა ქართული სასაფლაოსთვის. ადგილობრივმა კომუნამ ლევინს გარეთ მცხოვრები ემიგრანტი ქართველების დასაფლავების ნება დართო. ამის გამო ნამეტია ლევინის დედა შეარქვეს. 1970 – იანი წლების დამდეგს ნამეტია ქართული სათვისტომოს საპატიო წოდება მიენიჭა. დიხს ნამეტია გახლდათ ლევინის დედა, პოლიტიკოსი, სამხედრო პირი და უპირველეს ყოვლისა ეროვნული გმირის, ვალოდია გოგუაძის მეუღლე. დიდება მათ სახელებს.

ქრისტინე გურული





## ცეკვა ხელოვნების საოცარი სფეროა

გვანცა  
ანდლულაძე



**– გვანცა, როდის დაიწყო შენი ცეკვით გატაცება?**

– ხუთი წლის ვიყავი, როცა დედამ ცეკვის შესასწავლად ქორეოგრაფ ვაჟა ახვლედიანთან მიმბარა. ძალიან მზიბლავდა ჩემი პედაგოგის დამოკიდებულება ცეკვისადმი, მისი სწავლების მეთოდებისადმი, რაც შემდგომ მეც გამომადგა, როგორც პედაგოგს. რამდენიმე წლის შემდეგ ცეკვის შესწავლა გავაგრძელე ანსამბლში – ფესვები, დამსახურებულ ქორეოგრაფებთან ბატონ მერაბ მორჩილაძესთან და ქალბატონ ნატა მეგენიშვილთან, სადაც 12 წელი ვმეცადინეობდი. ამ ანსამბლში შევისწავლე ყველა ქართული ცეკვა, ილეთი, მოძრაობა, მანერა. მრავალჯერ ვიმოგზაურე, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში და მაცურებლის დიდი მოწონებაც დავიმსახურეთ. სისტემატურად ვმონაწილეობდით სხვადასხვა ფესტივალებსა თუ კონკურსებში და მრავალი ქების სიგელი და ჯილდოც მოვიპოვეთ.

**– ვინ არის თქვენი იდეალი ქორეოგრაფიაში?**

– ჩემი იდეალი გახლავთ ლეგენდარული ქართველი მოცეკვავე – ნინო რამიშვილი, რომელმაც მოგვცა შესაძლებლობა საფუძვლიანად შეგვესწავლა ქართული ცეკვა. მზიბლავს მისი სიმტკიცე და პროფესიონალიზმი. ხშირად ვუყურებ იმ ვიდეოებს სადაც იგი რეპეტიციებს ატარებდა სუბიშვილის ანსამბლში, ეს ჩემთვის უდიდესი სკოლა და სტიმულია...

**– თავად როდის დაიწყეთ პედაგოგიური მოღვაწეობა?**

– სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ გავაგრძელე სწავლა ქორეოგრაფიულ

### გვასაუბრება ქორეოგრაფი გვანცა ანდლულაძე

პროფესიულ აკადემიაში, მაგრამ არცერთი წუთით არ შემინწყვეტია ცეკვის მიმართ სიყვარული. ბატონ ავთანდილ სირბილაშვილის დამსახურებით, რომელიც ოზურგეთის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მოღვაწეობს, დავიწყე ბავშვების მომზადება ცეკვაში. პირველად 18 წლის ვიყავი, როცა ბატონმა ავთომ ჩემზე ერთი წლით უმცროსი კლასის ბოლო ზარის ღონისძიებაზე მთხოვა დახმარება, ჩვენი ერთობლივი ნაშრომი ძალიან ნაყოფიერი და სანახაობრივი იყო.



ჩოხატაურშიც ჩემი მუშაობა ბატონ ავთოს რეკომენდაციით მოხდა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მიმიწვიეს თანამედროვე და სამეჯლილო ცეკვების წრის ხელმძღვანელად.



რამდენიმე წლის შემდეგ კი მუშაობა კულტურის ცენტრში, სადაც არის შესანიშნავი გარემო, აქ მალევე მრავალ-

რიცხოვანი სტუდია შევექმენი. დღეს ჩოხატაურის კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლი რჩეული 50-ზე მეტ ბავშვს ითვლის და მოსწავლეთა დაინტერესება დღითიდღე იზრდება. სტუდია სისტემატურად მონაწილეობს მუნიციპალიტეტის ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაში, სხვადასხვა ფესტივალებში, როგორც რეგიონალურ ისე მის ფარგლებს გარეთ, საიდანაც დამსახურებული ჯილდოებით ვბრუნდებით მუდამ.

ჩემი აღსაზრდელებისადმი და ამ პროფესიის მიმართ სიყვარული დაუღალავ შრომას მოითხოვს. მაქსიმალურად ვცდილობ მეტი განვითარება და სიახლე მივანოდო ჩემს მოსწავლეებს. სტუდია რჩეულის კარი მუდამ ღიაა ყველა ბავშვისთვის, ვისაც უნდა ხელოვნების ამ საოცარ სფეროში თავისი ადგილი დაიმკვიდროს.

**– გვანცა, როგორც ვიცით, თქვენ ასევე ოზურგეთში ფიტნეს კლუბში მუშაობთ.**

– ოზურგეთში ვმუშაობ სპორტ ზალა ჩემი ფიტნესი-ში, ვარ ტრენერი და მაქვს სპორტულ გამაჯანსაღებელი პროგრამა აერობიკა პილატესი. ასე რომ, ვისაც სურს იცხოვროს ჯანსაღი ცხოვრების წესით, ველოდებით.

– მადლობა გვანცა საინტერესო საუბრისთვის. ასევე მადლობა, თქვენ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ღონისძიებებში სისტემატურად მონაწილეობთ და მაცურებლის მზურვალე ოვაციას იმსახურებთ. კვლავ ბევრ წარმატებას გისურვებთ შემოქმედებით და პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

ესაუბრა

ქეთევან კუკულავა



## იმედი



ტარიელ ბერეჟიანი ჩვენი სოფლის ერთ-ერთი კოლორიტი, ჭკუასაკითხავი კაცი და მჭევრმეტყველი თამადაა. მასთან ლაპარაკი ყველას უყვარს, განურჩევლად ასაკისა, განურჩევლად სქესისა და პოლიტიკური შეხედულებებისა. მასთან ნებისმიერ საკითხზე შეიძლება მსჯელობა, თუმცა როგორც ყველა გურულს, გამორჩეულად მაინც, კრიმანჭულივით მიხვეულ-მოხვეულ, პოლიტიკაზე უყვარს საუბარი.

ჩემი სახლიდან სოფლის ცენტრამდე ერთი კილომეტრია. ბავშვობაში სკოლაში რომ მივდიოდი, ამ გზას ისე სწრაფად ჩამოვირბენდი, რომ დაღლას ვერც კი ვგრძნობდი. მეზობლების გადაძახილ-გადმოძახილი, დილაუთენია მამლების ყივილი, ბავშვების ჟრიაბული და სოფლის ცენტრში ჭადარზე საგულდაგულოდ მიმაგრებული რადიო, ცინცხალი ინფორმაციებით, იუმორითა და გულში ჩამწვდომი მელოდიებით, აცოცხლებდა და ამხიარულებდა მთელ სოფელს. ახლა კი გულდამძიმებული მივუყვებოდი სოფლის შარაგზას. თვალს ვარიდებდი ირგვლივ საგულდაგულოდ აჭედილ სახლებს, მაგრამ მაინც გამექცეოდა მზერა მიტოვებული ოდებისკენ. გზაში მხოლოდ რამდენიმე გაძვალტყავებული ძაღლი შემხვდა, ამასობაში სოფლის ცენტრამდე მივედი. ავტობუსის მოსაცდელთან ტარიელ ბერეჟიანი დავინახე, იგი მორზე იჯდა. ჩემს დანახვაზე ხელი მოიჩრდილა, როცა მიცნო, ძალიან გაუხარდა. ჭამოდგა, სწრაფად გამოეშურა ჩემკენ და გულში ჩამიკრა.

– შენ გენაცვალე, ბიძიკო, რაფერ გამიხარდა შენი ნახვა. სიით გაგინვეია ამ კვირადღეს, ბაზარში?

– არა, ბაზარში არა, მეგობართან მივდივარ ჩოხატაურში.

– გეჩქარება, ხომ?

– არა, ტარიელ ბიძია, არ მეჩქარება.

– ნამეტანი კაი, თუ არ გეჩქარება, მოდი აგერ, ჩამოვჯდეთ დევილაპარაკოთ იქეთური აქეთური.

მე მის მოპირდაპირე მხარეს ჯირკზე ჩამოვჯექი. ამა-სობაში ჭადრის რადიომ (ასე ეძახდნენ სოფლებში ამ რადიოს ჩემი ბავშვობის პერიოდიდან) მიმდინარე მოვლენები გაგვაცნო. ხავერდოვანი ხმის მქონე დიქტორმა ისე დახატა საქართველოს მდგომარეობა, საქართველოში რომ არ ვყოფილიყავი, მეც დავიჯერებდი ყურისთვის საამებელ ამბებს. თურმე ჩვენთან ყველაფერი კარგადაა: აყვავებული, გაღალღებული, აბა სიღარიბეს ჩვენთან რა

უნდა და კიდევ ბევრი ბრძნული რაღაცეები... ამ საამური ინფორმაციის შემდეგ დები იშხნელების სიმღერამ გაიჟღერა: „არ დაიჯერო, არ დაიჯეროო“... ბატონმა ტარიელმა შემომხედა და ღიმილით მითხრა:

– ამაზეა ნათქვამი: ფიცი მნამს ბოლო მაკვირვებსო...

ამ დროს გუბაზოულის ხიდზე სოფლის ავტობუსიც გამოჩნდა, ჩვენს დანახვაზე მძლოლი ხელის აწევით მოგვესალმა. წრე დაარტყა და მკვეთრად დაამუხრუჭა.

– რას გვერჩი, შე კაცო, – შესძახეს მგზავრებმა. ავტობუსიდან მსუბუქად დატვირთული სოფლელები ჩამოვიდნენ, თან ბურტყუნებდნენ: ამ დალოცვილს აქამდე მშვიდობიანად მოვყავდით და ამ წრეზე რომ არ დაგვარეტიანოს, არ შეუძლიაო.

– მოდით, აგერ, ჩრდილში დეისვენეთ. – მოიპატიჟა ბატონმა ტარიელმა თანასოფლელები. ქალბატონებმა ზრდილობიანად გაუღიმეს, მამაკაცებს რაც შეეხება, სხვადასხვა რაღაც მოიმიზეზეს და სახლისკენ აჩქარებული ნაბიჯით გასწიეს.

– რა ქენი ვანიჩკა წნევის წამალი წამომიღე?

– აბა რა ვქენი, შე კაცო. – ვანიჩკამ ტარიელს მოწინებით გადასცა წნევის წამალი და მის გვერდით საგულდაგულოდ მოკალათდა. რაც შეეხება ბიჭიკოს, ჯერ კი გაუყვა სახლისკენ გზას, მაგრამ მერე მობრუნდა და ისიც შემოგვიერთდა. ბატონმა ტარიელმა სიგარეტი ამოიღო და თითო ღერი ორივეს მიაწოდა, მე კი სანთებელათი მოვუკიდე. სამივემ გემრიელი ნაფაზი დაარტყა.

– ეჰ, ვერ გადავადგე ეს ოხერი! – თქვა ტარიელმა და სიამოვნებით შეავლო თვალი ორ დაკოჟრილ თითს შუა მოქცეულ ახალმოკიდებულ სიგარეტს, მერე მომბრუნდა და მკითხა: – შენ ეწევი? – ხანდახან ვუპასუხე ღიმილით და ავტობუსის მძლოლისკენ გამექცა თვალი, რომელიც უკვე ჩოხატაურში წასასვლელად ემზადებოდა. ტარიელს არ გამოჰპარვია, ცოტა რომ ვჩქარობდი და ნაღვლიანად მითხრა:

– ნადი ბიძიკი, ნადი, ნუ დაიგვიანებ.

– არა უშავს, ბატონო ტარიელ, სალამოსკენ წავალ მეგობართან. სამივე ლაპარაკის იმტაზე იყო და ჩემი სიტყვების გაგონება ძალიან ეამათ, კმაყოფილი სახით შემომხედეს და სიგარეტის ბოლი ღრმად შეუშვეს ფილტვე-







ბში. ავტობუსის მძღოლმა აბა, ნავიდეთო, შეახსენა ორ მგზავს, რომლებიც მკვირცხლად ავიდნენ ავტობუსში, მერე ისევ დაარტყა წრე სოფლის ცენტრში და ჩოხატაურისკენ აიღო გეზი. თანასოფლელებმა თითქოს დამიმართხნელეს და უამრავი კითხვა დამაყარეს.

– კაია ბიძია, დისერტაცია რომ დეიცავი, მარა, აგი მეცნიერების საქმე რაფერ იქნება, მაგენის შრომას ფასი როის დეედება?

– გაჩერდი ვანიჩკა, მიუბრუნდა ბატონი ტარიელი, – მე და არჩილმა იმფერი ამბები მევისმინეთ ახლა რადიოში, რომ ყველაფერი აჟურშია.

– მაგენს თუ დუუჯერებ კი. – აღმაცერად უპასუხა ვანიჩკამ. საუბარში ისევ რადიო ჩაერთო, თემა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება იყო.

– ეხ, ამოიოხრა ბატონმა ტარიელმა. – მაგას რა ჯობია თუ დავიბრუნებთ, მარა, დაკარგული ხალხის დაბრუნებაზეც უნდა ვიზრუნოთ, საკუთარ ეზო-მიდამოს რომ მიხედონ. დეიცალა სოფელი. გასკდა გული ამდენი ნერვიულობით. ბოლოს და ბოლოს ხომ აქვს ყველაფერს და-

საწყისი და დასასრული. რა გვჭირს, რით ვერ მივაგენით საშველს...

რამდენიმე წუთს ყველანი დავდუმდით. სიჩუმე ვანიჩკამ დაარღვია.

– ხალხო, ახლა ერთი რაცხა უნდა გითხრაო. – ყველამ ინტერესით შევხედეთ. – გუშინ ჟორასთან გადვედი. ახლობელი იყო ჩამოსული თბილისიდან, ნამეტანი უცხო ტერმინებით ლაპარაკობდა. აი ჩვენი ეკონომიკა მთლად ყირაზე დააყენა. კი ბატონო, ინფლაცია გამიგია მარა, გაჭენებული ინფლაცია პირველად გვეიგონე. მთელი ღამე მაგაზე ვფიქრობდი. ზოჯერ თავში ფილტვი უნდა გქონდეს, ხომ იცით, ჟანგბადი რომ შევიდეს და უკეთესად იმუშაოს.

– რავარც ვხედავთ, შენზე მოუხდენია გავლენა მაგ ტიპს. გაეხუმრა ბიჭიკო.

– კი, მაგარი ნაკითხი ვინმეა, მარა, ცოტა მგონი გარეკილი აქვს. – ნახევრად ხუმრობით მიუგო ვანიჩკამ.

ამასობაში ჩოხატაურის ავტობუსიც მოვიდა. მე იქვე დუქანში შევედი და რამდენიმე ბოთლი ჩაცივებული ლუდი ვიყიდე. ამის დანახვაზე ვანიჩკა შემომეგება.

– რავა შენუხდი ახლა შენ ასე ნამეტანი ჩვენი გულისთვის. გეიხარე, ბიჭიკო, სულ წაღმა იარე.

ტარიელმა ღიმილით შემომხედა.

– არჩილ, შვილო, თბილისში წასვლამდე ჩემთან ამოდი, კაი ჭაჭის არაყი მაქვს და უნდა გაგატანო.

– მოვალ, ბატონო ტარიელ, აუცილებლად მოვალ. – მივუგე სწრაფად და ავტობუსში ჩავჯექი, სადაც მარტო მე ვიყავი მგზავრი. თანასოფლელებს ერთხელ კიდევ მოვხედე. ისინი გულს ცივი ლუდით იგრილებდნენ... მე კი ოცნება დავიწყე, მინდა მჯეროდეს, რომ ჩემი სოფელი ისევ ისეთივე მხიარული, ხალხმრავალი და ბედნიერი იქნება ოდესმე, როგორიც ჩემს ბავშვობაში იყო. იმედით ცოცხლობს ადამიანი.

ქეთევან კუკულავა



## პირველი კარიკატურა

ტერმინი კარიკატურა მომდინარეობს იტალიური სიტყვიდან *caricare*, რაც გადატვირთვას ნიშნავს, სურათით რაიმე მახასიათებლების გადაჭარბებული წარმოჩენა, – კარიკატურის არსი სწორედ ეს არის. 1590 წელს პირველი კარიკატურა იტალიელმა მხატვარმა ანიბალე კარაჩიმ შექმნა. დამახინჯებული სახეებით, კარიკატურის იდეას, ადამიანთა გარეგნობის იუმორისტულ, გადაჭარბებულ წარმოსახვას დაუდო საფუძველი.





## თავბრუდამხვევი წარმატება



2025 წლის 6 იანვარს იტალიური კინოსა და ესტრადის ლეგენდას ადრიანო ჩელენტანოს 87 წელი შეურულდა. ადრიანო მსოფლიო მასშტაბის ვარსკვლავია. საქართველოში ბევრი გულშემატკივარი ჰყავს, როგორც მუსიკოსი, აქტიურად მუშაობს, საყვარელ ცოლთან ერთად კომოს ტბაზე, ძვირადღირებულ აგარაკზე ცხოვრობს, სიმშვიდით ტკბება.

1938 წლის 6 იანვარს ადრიანო ჩელენტანო იტალიაში, ქალაქ მილანში ღარიბ და მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. მეხუთე შვილი იყო. ოჯახს ეკონომიურად უჭირდა, ადრიანო მეხუთე კლასიდან მუშაობდა. 12 წლის ასაკში სწავლა სულ მიატოვა, მესაათესთან საქმიანობდა.

სიმღერა და სამსახიობო ოსტატობა ბავშვობიდან უყვარდა, განსაკუთრებით პაროდიები, ხშირად აჯავრებდა ამერიკელ კომიკოსს ჯერი ლუისს. ადრიანოს დამ ერთ-ერთი ფოტო ორეულეების კონკურსზე გაგზავნა, გაიმარჯვა და ჯილდოდ 10 000 ლირა მიიღო. ახალგაზრდა მიხვდა საყვარელმა საქმემ – სიმღერამ, სამსახიობო ოსტატობამ და ცეკვამ შეიძლება შემოსავალი მოუტანოს.

1954 წლიდან დაიწყო საკუთარი კომპოზიციების შექმნა და შესრულება, როკ-ჯგუფის წევრი იყო. 1955 წელს სცენაზე მისი დებიუტი შედგა, მაყურებლების აღიარება მოიპოვა.

1961 წელს სან-რემოს ფესტივალზე მიიღო მონაწილეობა. სცენაზე სიმღე-

რა დარბაზთან ზურგშეცევით დაიწყო, ჟიურიმ უპატივცემულო საქციელად ჩათვალა და მეორე ადგილზე გავიდა, თუმცა მისი სიმღერა Venti-quattromila baci ჰიტ-ალბომების სათავეში მოექცა და იტალიის ათწლეულის სიმღერად იქცა. მას შემდეგ ადრიანო ნამდვილი ვარსკვლავია – კონცერტები, სიმღერები, გასტროლებზე წასვლა...

1969 წლიდან კინოში სცადა ბედი, აქაც თავბრუდამხვევ წარმატებას მიიღწია. განსაკუთრებული პოპულარობა მოუტანა ფილმებმა *ბლეფი* და *ჭირვეულის მორჯულება*.



ადრიანო ჩელენტანო და კლაუდია მორი იტალიაში ყველაზე პოპულარული წყვილია. მათი ქორწინებიდან 60 წელი გავიდა, მიუხედავად ამისა საზოგადოების ყურადღების ცენტში არიან. წყვილის სიყვარულის ისტორია გადასაღებ მოედანზე დაიწყო და საოცარ მელოდრამად იქცა, ექვსი ათეული წლის თანაცხოვრების შემდეგაც, ადრიანო და კლაუდია ისევ ბედნიერი წყვილია, პირველი შეხვედრის დროს, 1963 წელს ერთ უცნაურ ტიპს იღებდნენ. კლაუდიამ ყურადღება არ მიაქცია, ეპატაჟური მოეჩვენა. ადრიანო ლამაზი ქალის გულგრილობამ გააღიზიანა. ცდილობდა, მისი ყურადღება მიეპყრო, კლაუდიას მოედანზე სანათი გაუტყდა, ნამსხვრევმა ადრიანოს სახე გაუკანრა, ბოდიშის მოსახდელად მივიდა, ძალიან შეუყვარდა და

დღემდე არ გაუნელდა. ტემპერამენტიანი იტალიელი კლაუდიას საკუთარ კონცერტზე გამოუტყდა სიყვარულში. არაოდრინალურმა წყვილმა ოფიციალური ურთიერთობა ღამის სამ საათზე გააფორმა, პაპარაცებს ამალეხებული დღე არ ჩაეშალათ. ადრიანო ერთგული ქმარი არ იყო, ორნელა მუტთან სასიყვარულო რომანი მთელმა იტალიამ გაიგო. კლაუდიამ ქმარს ლალატი აპატია და სახლში დაბრუნების უფლება მისცა.

კლაუდია მორისა და ადრიანო ჩელენტანოს სიყვარული კარგი მაგალითია, თუ როგორ უნდა გაუფრთხილდე სიყვარულსა და ურთიერთობას.

წყვილს სამი შვილი და ერთი შვილიშვილი ჰყავს. ვაჟი ჯაკომო მომღერალია, როზიტა – მომღერალი და ტელენამყვანი, როზალინდა მსახიობი.

87 წლის ადრიანო ჩელენტანო იუბილეს მეუღლესთან ერთად, საკუთარ აგარაკზე შეხვდა, რომლის შესასვლელს კლაუდიას ქანდაკება ამშვენებს. ჩელენტანო სცენაზე აღარ გამოდის, თუმცა დიდ დროს ატარებს სტუდიაში, წერს ალბომებს, საყვარელ საქმეს აგრძელებს.



კლაუდია მორი და ადრიანო ჩელენტანო კომოს ტბაზე

87 წლის ადრიანო ჩელენტანო



დავკოცნე, როგორც მაყვალი  
არ გამიძალდა ძალიან,  
ნელზე მომხვია მკლავები  
შევიპყრე ჩემი ბრალია.

დავშორდი, გზას გავუყვე  
ბევრი ვიარე სერებზე,  
მალე ხეებიც გამოჩნდნენ  
ვიყურე ფეხის წვერებზე.

უცებ სინათლე შევნიშნე  
წყვილი მნათობად მოსჩანდა,  
მივხვდი, ნადირი შემომხვდა  
დამშეულია, ოხრავდა.

შევშინდი, ვუტყერ, თავს აქნევს  
მეორეც იქვე გამოჩნდა,  
გამხეცებული ნადირი  
ნაშში პირისპირ აღმოჩნდა.

ჩამავლო მკლავზე, დამკბინა  
მომეკრა, როგორც ზაფანგი,  
მარჯვენით ხმალი დავკარი  
გადავუხადე სამმაგი.

ვხედავ მეორე გამორბის  
არ დამინდობდა ვერაგი,  
ქვის ძირში ხროვა ამოდის  
სისხლით დავსვარე პერანგი.

გავქანდი, ხეს შევაფრინდი  
როგორაც ძერა ბუდესა,  
წამიერ აველ კენწეროს  
შევატყვე, გულს რა უდევსა.

ჩემმა მზემ კარგად გადავრჩი  
სიცივეს ვინლა ჩიოდა,  
ქორივით ვზივარ ტოტებზე  
ხროვა დაჭრილ მგელს სტიროდა.

გავლიე მთელი საღამო  
ვიქეცი კლდისა ლოდადა,  
ხელი მტკიოდა, ვიტანჯე  
მკლავს კი სიმწარე მოჰქონდა.

ინათა, ცოტა ვაცადე  
დავეშვი ქედის ძირშია,  
ალარ სჩანს არსად ნადირი  
მხოლოდ სისხლისა ნიშია.

გავყევი მდელს, ჩავყევი  
სახლში შევედი დაღლილი,  
სახე, თმები და წერვები  
ერთნაირად მაქვს აშლილი.

## ნატვრია

### XVI საუკუნე ხევსურეთი



გიორგი ბოჭორიშვილი

ცეცხლი დავანთე, გავითბე  
ყინვით ნაწრთობი გულ-მკერდი,  
გადახსნილი მაქვს ჭრილობა  
ბრაზებს ლოცვებით ვუტევედი.

ჩამოვიბანე, დავისხი  
ჭრილობის პირზე რახია,  
სიცხე მომცა და ვკანკალებ  
ასეთი არ მინახია.

ვიფიქრე, გავალ, გავძახებ  
ერეკლეს ოჯახობასა,  
მარტო კაცი ვარ, ძნელია  
ეს გული დარდით ოხრავსა.

მიველ, მოვუხმე, შემიკრეს  
დამალევენეს წამალი,  
დამანვინეს და დამიკლეს  
დეზებიანი მამალი.

ჩემი ფიქრები მანუხებს  
მე ქალთან ჩასვლა მწაღია,  
რალა ვქნა, რა მოვახერხო  
ფიქრები აღმა დადიან.

ერეკლე ვიხმე, ვუამბე  
ჩემი დარდი და ვარამი,  
ვთხოვე, ქალისთვის ეამბა  
ეს ჩემი ცუდი ამბავი.

დილით გავგზავნე სოფელში  
თოფიც დატენა წამლითა,  
ის არის ჩემი ძმა-ბიჭი  
ყველგან ვენდობი წამითა.

ყველგან პატრონი გამოჩნდა  
თავს შემომეწვლო სოფელი,  
ბევრი მნახველი შემიჩნდა  
გადავიქეცი მთხრობელი.

მზემ როცა ძალა დაკარგა  
ნელით გაიღო კარები,  
ვხედავ ნატვრია შემოდის  
მანდილს ემოსა შალეები.

შევხედე ჩემი ნატვრია  
ხელში უჭირავს მონწული,  
გვერდით ლახტარი მოჰყვება  
ნაქარგი ჩოხით მორთული.

ერეკლემ კარი მიხურა  
მითხრა, დაგტოვე ცოტა ხნით,  
ქალმა კი ჩემთან მოსულმა  
მოკითხვა მითხრა ნაზი ხმით.

შევცქერი, სულ მთლად მოვკეთდი  
ალარა მტკივა მკლავია,  
დამეინწყებია ყოველი  
ნატვრიას მზერის ბრალია.

მასაც მოეუყევ ყოველი  
მანაც მიაშო ამბები,  
მომიარა და მაჭამა  
თავთან დამინთო სანთლები.

გული მიწევდა შენთანა  
ყრმა ვერ დავტოვე ბარშია,  
მიზეზი ვუთხარ მამაჩემს  
მივალ მამიდას სახლშია.

ახლა საათით დაგტოვე  
გავივლი, ვნახავ ბინასა,  
მხოლოდ ერთხელ ვარ ნამყოფი  
ნატრული ვჩქარობ ხილვასა.

ვკითხე, – რა ჰქვია, რომელი?  
მითხრა, უცნობი გვარია,  
ვუთხარი, ასეთს არ ვიცნობ  
ალბათ დიდი ხნის მკვდარია.

ჩამთვლიმა, სიზმარი ვნახე  
კავკასიონის ქედებში  
მყინვარწვერები მოსჩანდა  
ჯიხვი ჩამაკვდა ხელებში  
ჭრილობებისგან ოხრავდა.

რად მოგისწრაფე სიცოცხლე  
ისევ მიყივლა ენამა,  
თუკი მოგაკალი არ ვნანობ  
დამძლია გულმა ვერანმა.

თუ არ ნადირობ, ვერ იგრძნობ  
შენი სული ვერ იხარებს,  
თუ გამომეყვები და მიძმო  
ამ გულში გამოიდარებს.

ვისაც ბუნება არ უყვარს  
ისედაც დაჩაგრულია,  
ეს ჩვენი წუთისოფელი  
ფუჭი და დაკარგულია.

ციცაბო კლდეებს გავსქცერი  
შურთხი კლდეებში მოთქვამდა,  
გადმომაყარა ნამქერი  
და ნადირობაც მოთავდა.

ჩაყვები მთების ბილიკებს  
მხრებს მიძიმებდა ნადავლი,  
დავკრეფდი მე მთის გვირილებს  
თუ არ მომადგა ავდარი.

სახლს მისულს შემეგებება  
ცოლ-შვილი სახე მზიანი,  
ნატრულმა ვნახო ეგება  
ლამაზი თვალის ბრიალი.

შემომავლებს ოჯახი სურას  
მოვიკლავ წყურვილსა,  
მომეხვევიან, დავკოცნი  
ავიხდენ გულის სურვილსა.

ძმა-ბიჭებს სუფრას გავუშლი  
შევახვევ ჯიხვის ხინკალსა,  
შამფურზე მწვადი ასხმული  
ცეცხლში დაიწყებს ბრიალსა.

დავლოცავთ უფლის შეწვენას  
მშობლებს და სალოცავებსა  
წარსულ მეგობრებს, სიცოცხლეს  
მეუღლეებს და ბავშვებსა.

სიყვარულს, ტკბილ მოგონებებს  
დილამდე ავტეხთ ხმაურსა,  
სიმღერით გავლევთ იმ ღამეს  
დავლოცავთ ყოვლადწმიდასა.

უგონოდ დაგვეძინება  
თავს გამოვუტანთ წირვასა.

დილით მომესმა გალობა  
ჩხართვი თხილებში დახტოდა,  
დათოვლილ ზვინებს, ყორეებს  
მისი გალობა ართობდა.

ეზოს კი ციდან მოსული  
თოვლის ფანტელი ათოვდა.

რად მოგისწრაფე სიცოცხლე  
ისევ მიყივლა ენამა,  
თუკი მოგკალი, რად ვნანობ?  
დამძლია გულმა ვერანმა.

გამომელვიძა, ავდექი  
ვიგრძენ, სიცხეც არ მქონდა,  
სიზმარი ცხადი მეგონა  
რამდენი რამე მდომია.

მალე მოვიდა ნატვრია  
ვიკითხე მისი ამბები,  
საფლავზე გასვლა მჭირდება,  
დასანთები მაქვს სანთლები.

ავედით ერთად მთის ძირში  
მინდორს ლოდები ახელებს,  
ქვის კუთხეებში ყვავილებს  
ქვებზე წარწერა ამშვენებს.

მშობლების ქვებთან მივედი  
ხავს მოეკიდა ყვითელსა,  
მე მათ სახეებს ვერ ვხედავ  
ვერც წუხილს, ვერც დარდს, ფიქრებსა

მომნატრებიან ძალიან  
სულ ვგლოვობ, განა მიკვირსა.

არც იავნანა არ მახსოვს  
არც მამის ჩაკვრა მკერდშია,  
ნენა სიზმარში მომიქსოვს  
პერანგს გახეულს მხრებშია

მამაც მასწავლის ცხოვრებას  
როგორ მოვიქცე ხევშია.

აქეთ მამიდას ლოდი დევს  
დედა ვთქვი, ყველას მერჩია,  
მასწავლა, მლოცა, გამზარდა  
ველარ ჩამაგდო ბედშია.

ჩემი ნენაი ის არის  
მოვფერებივარ თმებშია,  
მის სადიდებლად ავაგებ  
სალოცავს მაღალ მთებშია.

გაშეშდა, ზედ ლოდს დაჰყურებს  
დაბნეული აქვს თვალები,  
არც სიტყვას, არც ხმას არ იღებს  
მისი ლამაზი ბაგენი.

ყველა ქვა ნახა, დაბრუნდა  
წარწერა ბევრს არ ეტყობა,  
ვერსად ვიპოვე, ვერ ვნახე  
სხვაგან დაკრძალეს ეტყობა.

მითხრა, წავიდეთ ამას გთხოვ,  
მალე მსურს სახლში ჩასვლაო.  
თუ დავიღალე, ვერ ვივლი  
ალარ მექნება ძალაო.

ცხენით ჩაგიყვანს ერეკლე  
ლახტარი არის ცოდვაო.  
მისთვის მყავს ჭრელი ბატკანი  
საჩუქრით არა ვცოდაო.

მთას წასულს ეს კი ვუთხარი  
დღეის სწორს მოვალ შენთანა,  
მამას ხელსა ვთხოვ, ავუხსნი  
რომ სუფთა ვიყო ღმერთთანა.

გავაცილე და დავმშვიდდი  
მერე მივუჯექე კერიას,  
შაშვმა გალობა გამართა  
რა საოცარი ხმები აქვს.

მივედი ხატთან, დავანთე  
ეს ჩამოქნილი სანთელი,  
ჩემს თავს რამდენი დავმართე  
მის შემწეობას, მაღლს ველი.

დღის სწორი კარზე მომადგა  
მკლავის ტკივილიც გამშორდა,  
ჩავიცვამ ჩოხა-ახალუხს  
სუყველა დარდი დამშორდა.

შევახმე ჩემი ულაყი  
გიშერივითა შავია,  
ვინც კი მე ცერად შემხედავს  
დაუბრმავდება თვალია.

გადავირე სერები  
შევერდი ბედის ადგილსა,  
რახიც დავკარი, დავლიე  
ბოლო მოვუღე სადილსა.

მალე იმ სახლთან მივედი  
საცა ქალაი მეგულის,  
დაინგრა გულის ფიცარი  
ცა კი ნისლებით მეკონის.

მივედით ნელით ეზოსთან  
ცხენი დავტოვე კართანა,  
ულვაში გადავისწორე  
ცვარმა იმატა სახლთანა.

– მასპინძელო! – მოვუხმე  
არსაიდან ჩანს სულდგმული,  
ვხედავ ის ჭრელი ბატკანი  
კიბესთან იყო მიბმული.



ჭალარა კაცი გამოჩნდა  
გვერდზე მოჰყვება ლახტარი,  
მითხრა, მობრძანდი ყმანვილო  
შეგცივდებოდა – ზამთარი.

შეხედე, სალამი ვუთხარ  
გავეცან, მითხრა, ვეფხია,  
ნატერიას მამა გახლავარ  
ბავშვი კი ფეხთ მოეხვია.

გავხედე, მოდის ნატერია  
შემომეგება ღიმილით,  
მითხრა, ნაბადსა აქ დავდებ  
ცა გარეთ სკდება ტირილით.

კაცი ბარბაცებს, მთვრალია  
აღბათ რახის ბრალია,  
მიყურებს, როგორც აფთარი  
არ მომაცილა თვალია.

მითხრა, თუ დაღევ, დაგისხავ  
მჭადს დაგიკრავენ ხელადა,  
ვუთხარ, დაგლოცავ, ვერ დავლევ  
ვატყობ თვითონაც ღელავდა.

თან მკითხა გვარი, სახელი  
უფრო ეცვალა სახეო,  
მკითხა, აქ რისთვის მოსულხარ?  
პირდაპირ დამახალეო.

შეეცბი, ამას არ ველოდი  
ვფიქრობ, რა დავაშავეო?  
ქალის ხელსა გთხოვ, გეთაყვა  
ნუთუ ვარ დამნაშავეო?

მამას რა ჰქვია, მითხარი  
მისი სახელი მნადია,  
ვუთხარი, ერქვა დათია,  
ის ჩემი გულის დარდია.

რაზედ მოსულხარ წყეულო  
რად გინდა ჩემი ქალია,  
ხანჯალს აგაგებ, დაგფატრავ  
მამა ვარ, ჩემი ვალია.

გავხმე, ენასაც ვერ ვიღებ  
ვისთან მოვსულვარ სახლშია?  
შენ რამეს ფიქრობ, მაცნობე  
ცუდად რად მოგხვდი თვალშია.

შენც მისი გველის წინილი  
როგორ მოსულხარ ბინაზე?  
იცოდე, არ გაპატიებ  
სულს გაგიმწარებ ჯინაზე.

ავენთე, წამოვიმართე  
თვალი ამემღვრა ქორივით,  
კისერი ვერ გავიმართე  
ბევრი ვითმინე სწორივით.

შეხედა, ხელს არ ვარხევდი  
თვალთან ძარღვები ამოხტა,  
დამცინის, ზვიადად მიმზერს  
ისევე გინება აღმოხდა.

შენც მოგკლავ, როგორც მამაშენს  
დედას გიტირებ საფლავში,  
თუ მოვინდომე, გადაგჭრი  
როგორცა თიხის ლავაში..

ავენთე, ძარღვი დავჭიმე  
ბინდი მომანვა, ვეკვეთე,  
ხმაღს ხელი ვავლე, დავკარი  
ველარ ვიყავი მოკეთე.

მეორეს დაკვრა მნადია  
გავმხეცდი, როგორც ნადირი,  
უცებ ნატვრიამ ისროლა  
კემსად ნაქარგი მანდილი.

ადგილზე გავხმე, გავეკავდი  
ველარსად ვნახე ადგილი,  
გავხედე, ბავშვსაც ეტყობა  
სახე აშლილი, ნატირი.

ვუთხარ, შეგინდობ, არ მოგკლავ  
რადგან ვინამე ხატები,  
ხმაღს ვინც აღმართავს მოყვასზე  
არ დაუყოვნდეს ნალველი.

ვეცი კისერთან, შეხვედე  
დამიმტვრევია მალეები,  
მაგრამ სჩანს თითქოს არ კვდება  
დაბნეული აქვს თვალები.

ნატერია წამით მოვიდა  
ერთად დავბანეთ ადგილი,  
დიდი ჭრილობა მოჩანდა  
მაღაც აქვს ამოვარდნილი.

ძლივსლა წამოდგა, ჩამოჯდა  
შემხედა კრძალვით თვალებში,  
მართლა ვაჟკაცი ყოფილხარ  
არვის დარჩები ვალებში.

მე კი ვარ დიდი ცოდვილი  
ემშაკის მოციქულია,  
შვილო, იცოდე ცხოვრება  
მზაკვარი და რთულია.

მეც ისე, როგორც მამაშენს  
ცუდი სიმთვრალე დამჩემდა,  
კარგსა და ცუდს ერთმანეთისგან  
ვერც ერთი ველარ არჩევდა.

ერთხელა მქონდა დლეობა  
ისხდნენ უცხო და-ძმანია,  
მამა თამადად დამიდგა  
ჩემს ქალს დაადგა თვალია.

შეეცქერი, ვფიქრობ ლანდია  
მაგრამ მეორედ შევნიშნე,  
ხელი დავკარი მაგიდას  
ვბრაზობ, წარბებით ვანიშნე.

დასრულდა სმა და ღრეობა  
მამაშენს ბოლოს გავყვევი,  
როცა გაცილდა ჩემს სახლ-კარს  
ავფორიაქდი, აყვევი.

მთვრალმა თქვა, რად ეჭვიანობ?  
პირდაპირ სიტყვით მახალა,  
ავენთე, პირლია დავრჩი  
როგორცა ყვავის ბახალა.

დავარტყით, ბევრი ვიჩხუბეთ  
ბოლოს ჩავვარდით ხევშია,  
ვატყობდი ძლივსლა სუნთქავდა  
სისხლი შევნიშნე თმებშია.

საცოდავს თავი დაერტყა  
ცოდვილად გადავიქციე,  
მუცელში დანა ჩავირტყი  
ემშაკის ლუკმად ვიქციე.

იმ დღიდან დავრჩი ცოდვილი  
ცოლიც მომიკვდა ალითა,  
დამრჩა ობოლი შვილები  
ამ დარდს ვიქარებ რახითა.

იცოდე, შენი გამზრდელი  
ჩემი ალალი და არის,  
რადგან შენც დედა მოგიკვდა  
ბედისწერა ხომ ბრმა არის?

არ მაპატიო კალდია  
მომწყდა, აღარ მცნობს, დამტოვა,  
მას მერე გამწარებული  
დაჩაგრული და მარტო ვარ.

სიკვდილის წინ დაიბარა  
არ მნახოს როცა მოვკვდები,  
ნატერია სამჯერ ენახა  
შენთვის კი გახდა მშობელი

მამასთან იყო გაზრდილი  
მისთვის არ არის ადვილი.

მართლა ვაჟკაცი ყოფილხარ  
ხელსა მთხოვ, აგერ ქალია,  
ცრემლები წასკდა, ღვარღვარით  
ვაი ამ სოფლის ბრალია,

შემინდე უფალო, ღმერთო  
მე დამიბრმავდეს თვალია.

ალარც სიცოცხლე მჭირდება  
ალარც ავდარი, დარია,  
რატომ ვიქეცი ცოდვილად?  
ახია, ჩემი ბრალია.

იქვე ნატვრიას მოუხმო  
მითხრა, ჰა, ჩაგაბარეო,  
გიშრისთვალეა, ლამაზი  
ქარვით მზე, ახალ მთვარეო.

ვიცი, შენ გახდი ბედნიერს  
მითხრა და ოხვრას აენყო,  
კისრის მალეობთან ჭრილობას  
მხრებზე სისხლდენა დაენყო.

თავი უარყო, გამაგრდა  
უარესიცა მქონია,  
ნატვრია ცრემლებს ვერ იშრობს  
ბავშვს კი სიკვდილი ჰგონია.

ამ ბავშვის დარდი მანუხებს  
თუ ვერ შეეძელი მოვლაო,  
ვუთხარი,, შეილად ჩავთვალე  
ალარ მჭირდება თხოვნაო.

თუ ჯვარსაც მალე დაინერთ  
მოხუცის გული იხარებს,  
მზითვად გაგატან სამას ცხვარს  
ოჯახშიც გამოიდარებს.

მისმინე ჩემო ლაზარე  
ამბავს გიამბობ აქაოს,  
იცოდე, ცხადად მომხდარა  
ხორცთ აღამაღლებს ამაოს.

კალდია ლოცვად წასული  
ლაშარს შეწირულ ასულად,  
კელიას იყო მონოზენად  
ვერ იხსენებენ წარსულად.

ესე ამბავი ხევესურეთს  
გაცხადდა დარჩა თქმულებად,  
რაც საგმიროა უბრალო  
ვინძლო ღირს სულთა ყურებად.

იმიერ მხარის მარბელნი  
ხშირად სტუმრობდნენ ხევესურეთს,  
იყო ვალებით ჟამები  
ეშმა რას გალევს გრძნეულებს.

ჩვენ სოფელს ოცი მოადგა  
ღამით ულმობელ ზრახვებით,  
ხშირად ხევესურნი დაუხვდნენ  
ბანარაულის ლახვრებით.

ოჯახში მოსულ ურჯულოს  
კომეს დახვდა სული ბავშვებით,  
ენადნენ ავის ჩადენას  
გონში ნამარხი ზრახვებით.

არ იყო სახლის პატრონი  
ცხორში წასული გახლავდა  
ცით შეწირულსა ნამატსა  
გუდანის ჯვარით სახავდა.

სულმა ბავშვები დაიცვა  
ცალ შეებრძოლა მერანით,  
გადამალა და ჩაიცვა  
ნაქსოვი ჯაჭვის პერანგი

თან მუზარადიც დაიდგა,  
სისხლის სახვრეუკი პერანგით.

განწირულ თექვსმეტ მომხვდურთან  
იბრძოდა ვეფხვი ნახედნი,  
ბოლოს მუზარადს გადაჰკრეს  
თმა გაიშალა ქალღმერთის.

დიაც აღმოჩნდა ნაგმირი  
თექვსმეტი დასცა ხმალითა  
ადრე მშვიდობის მოსურნე  
გამოილაშქრა ალითა.

ხან დგება ნუთი დროება  
ანგელოზთ იღეს შუბები  
მაშინ ეშმაკიც ლოცულობს  
დაუსველდება უპენი.

შეიპყრეს ქალი ქაჯანა  
აოხლა ძღვენის მომთხოვნი,  
მთებს გმირთა ჯავრი აჭამა  
დაურჩათ ფუძედ ობოლნი.

მონუსხეს ესე ასული  
დაკიდეს თმებით მუხასა,  
ჩამოათალეს ნაკვთები  
მინდობილია უფალსა.

ქნა თავგანწირვა უთქმელი  
დაიცვა ლეკენი ძმისშვილნი,

არ შეკრთა ზენას მიენდო  
გვამს ეტყობოდა ღიმილი.

ეკიდა, როგორც ლერნამი  
უგონოდ იდგა ბუნება,  
შეუპოვრობა აჩვენა  
ცას შეიგებეს სულბმა.

უცხოა ესე წმინდანი  
ხსენებად დარჩათ თაობებს,  
ქართველ და მინის ამ გმირებს  
ისევ დაეუნეროთ გალობას.

შეკვრთი, ამბავი მეცნო და  
სხვაზე ვიცოდი მომხდარი,  
ცრემლები ღვარად მდიოდა  
თვალთან რომ ღელედ მომდგარი.

თურმე ნატვრია ლახტარი  
მამიდის კალთამ დაფარა,  
ის ცხენი შანთით მოუკლავთ  
წაბლის ხავერდა, ფაფარა.

მეორე დღე რომ გათენდა  
ვხედავთ კაცი ვერ ინძრევა,  
რალა ვენათ, რა მოვუხერხოთ  
ნიშანწყალს მაინც იძლევა.

ეს ცოდვა მეც გულს მიმძიმებს  
ვილოცე ბევრი ხანია,  
ნატვრიაც გვერდით დამიდგა  
ბრძენი ხევესური ქალია.

ეს ბავშვი მამას ეკვრება  
არც ჩემზე მოსდის ბრაზია,  
კარგი ვაჟკაცი დადგება  
წელს დაუმშვენებს ხმალია.

ვეფხვიამ გვეკითხა, რას უცდით  
რაზედ არ ინერთ ჯვარსაო?  
მე მეზობელი მომივლის  
ვეტყვი, გადადგამს მთასაო,

არ შეგანუხებთ, არ ვჩივი  
არ ამოვიღებ ხმასაო.

ლაშარის წმინდა ტაძრისკენ  
ფეხით მივყვებით ბილიკებს,  
მე შავი ჩოხა მაცვია  
ჯვარი კი ვანდე ერეკლეს.

ნატვრია ისე ღალა  
უზურწყინავს მოცვის თვალეში,  
ჩვევრდზე მიყვება ვაჟკაცი  
როგორც მთას ნისლის ხალები.



შევედით, ტაძრად გალობენ  
დაგვადგეს თავზე გვირგვინი,  
ანგელოზები ხარობენ  
სოფელო როგორ მილიმი.

ცად კი მშობლები ხარობენ  
ისმის არწივის ყვირილი,  
შეუღლდით, ბაგე ბაგეს სწვდა  
ატეხეს ჟივილ-ხივილი.

ხატს კი ეტყობა ცრემლი სდის  
აუტეხია ტირილი,  
ყველამ შენიშნა, დაეტყოთ  
გაკვირვებულებს ღიმილი.

მრავალჟამიერს გვიმღერდნენ  
თავზე გვაყარეს იები,  
ჯვარი დაგვწერეს, დაგვლოცეს  
გვისურვეს ბევრი შვილები.

ერთად ვიდექით ტაძართან  
როგორცა ლალი ირმები.

ვხედავთ, ვეფხვია უეცრად  
ტაძრის კარებთან მოვარდ  
მოვიდა ხატთან, ემთხვია  
და ყველა მლოცველს მოგვმართა.

– წმინდა გიორგი ვიხილე  
თეთრ რაშზე მჯდარი შუბითა,  
მითხრა, ადექი ვეფხვია  
თეთრის ნათელის შუქითა.

ნადი, ტაძარში იხილე  
ხატზე ნადენი მირონი,  
ნახე, ჯვრისწერას დაესწარ  
რწმენით განდევნე დემონი.

ყველამ იხილა ხილული  
სასწაული და მადლია,  
მართლმადიდებლის ნათქვამი  
აღსარება და დარდია.

ბოლოს თქვა, ხალხო, გიყვარდეთ  
ჩვენი გამჩენი უფალი,  
ლოცვებში უნდა წავიდე  
შევიქმენ თავისუფალი.

გიყვარდეთ თქვენი წარსული  
წილხვედრი მინის კალთები,  
ბევრი დრო უქმად გასული  
ლოცვით გაფანტეთ დარდები.

ქვეყანას გაგვიმთლიანებს  
წმინდა გიორგი თანმდევი,

თუ გავიხელებთ სიყვარულს  
ცას უფრო შეუწყვარდებით

გახარებულმა ლაზარემ  
თქმას ლექსი მოაყოლაო:

რაოდენია რწმენა ერისა  
მადლი, შენდობა მალლა ღმერთისა  
რაოდენია ცოდნა ერისა  
ცოდვათა მყისვე შემეცნებისა

რაოდენია მრევლი ქვეყნისა  
ამ საიდუმლოს მზიარებლისა  
რისთვის მოვსულვართ  
რისთვის მოვსრულვართ

იქნებ, ღვინო ვართ მიგებებისა  
იქნებ, ცოდვა გვჭირს  
იქნებ, თავსა გვჭირს  
სულში ჩამდგარი ამპარტავენება

იქნებ, უწიგნოდ  
იქნებ, უწილოდ  
გნებავს ნადიმი, ნაყროვანება.

ჯვარი აღმართე, მითხარ სიმაღლეთ  
შენ შენი ერის გადასარჩენად,  
ტაძარს იარე, ლოცვით ეამე  
სამებას გულის წარმოსაჩენად.

ცეცხლი ღვთიური  
ხვედრი ციური  
ჩვენი დედაა, უფლის სულია  
ციურ ნათებით, წმინდა სანთლებზე  
სულიწმინდისგან გადმოსულია.

ჯვარი აღმართე, – გვასწავლიდა მეფე  
დავითი  
ვერც ზღვა ურწმუნო, ვერც სხვა ურჯულო  
ვერ იხილავდა ნაკადულს დამშრალს  
დიდგორზე ლაშქარს წინ უძლოდა შავი  
გიორგი.

ჯვარი აღმართე, შენ ხარ ნაყოფი  
შენ ხარ წუხილის, ლხინის გამყოფი,  
ჯვრის მონასტერში ფრესკად ნამყოფი

შენ ხარ იმედი ღმერთის დასტური  
მუჯურეთული ალადასტური.

რაოდენია რწმენა ერისა  
წმინდა მეფეთა შემეცნებისა  
სახით ნათელო, ქალო ქართველო  
დედოფალო და დიდო მმართველო

ჩვენი რწმენა და ჩვენი დედა ხარ  
გიშრის ნაწნავით ფეხშიშველა ხარ.

გლოცავს მამული, ანჩი, სახული  
გელათის ფრესკა, მრევლი მარხული  
ვაზის მირონი, ვარძიის კლდე-ქვა  
მზრუნველი ხელით შენ მეფე გერქვა.

მადლის მდინარეც, ფრესკის სურნელო  
სხივების კონავ, სულთა მკურნალო,  
ირმის თვალეზავ, ეულად მდგომო  
დილის ნათებავ, ხიხა მთის ბროლო

ხელით ნაკვეთი ჩუქურთმის ბმა ხარ  
ივერიელთა მომქცევის თმა ხარ  
ტაო-კლარჯეთით თაბორის მთა ხარ,  
ბოდბის სინმინდით ნაწნავის წვნა ხარ

შენ დაგვილოცე გზები ნათელი  
კავკასიონის მთა და კალთები,  
ვაზის ცრემლი ხარ.  
ქართლის მთა-ბარო  
ფეხშიშველა ხარ მეფეც თამარო.

დავითიანი, კურაპალატი  
მონწულ თმიანის ნინოს მირონი  
მდელი ცვრიანი, ლოდ ხევ ღლიანი  
კალმახ-ბზიანი შენი იორი.

ურთხმელ ტყიანი, უხვ წყალ წყლიანი  
მინანქრეული შენი რიონი  
ცა უჩვეულო, გულ უტეულო  
ცრემლმორეულო ჩემო ვენახო.

გზაარეული, ქანცგალეული  
ჩგადარეული ნეტავ გენახე,  
გულანთებულო, თვალდანთებულო,  
ჭედურ ხმლიანი, დიდგორის ველო.

თეთრ რაშ მზიანო, დავითიანო  
წმინდა გიორგით ხარ მადლიანო  
ჯვარ წულ მომეულო  
ლანვ თვალ მონწულო

ჩვენო ნინო და თამარიანო  
ჩვენი დიდგორი  
ეს ბასიანი  
ხატს სდის მირონი ალერსიანი.

მოგვნატრებია ეს ივერია  
სიზმრად ნახულნი რომ ირევიან  
გამონათდა ივერია  
გიშრიანო დალალებო

ფიქრში დარდი გირევია  
ნარცისანო მანანებო.

მადლმოსილო მინა-წყალო  
ზამბახებით განაბულს

ჩემო ზვრებო, კლდე და წყარო  
მირონდენით დანამულს  
ირმინო იალალო  
გვირილებით მოჟეგილო.

შენ ნიაგო, ედემ-ბალო  
იადონო მოფრენილო  
შენ ხარ ღვინით ნიაგებით  
რიონის პირს მოწეული.

გარჯიანი კახელებით  
დარწეული ბროწეული,  
საძოვრებო ზურმუხტებო  
ჭედილებით მოჟეგილო.

საორბეო მწვერვალებო  
გმირიანო მოდრეკილო.

ნატვრულს ცრემლი მომერია  
თეთრო რაშო გედიანო,  
ყაყაჩოებს დაგიკრიფავ  
ეს ხომ ჩემი ბედიანო.

შენ ტაძარო თამარისო  
ჩუქურთმებით მოკალმულს  
შენ დალალო გიშრის თმისო  
ამბიონო მოხატულს.

ვიცი, ხიბლია ამაოება  
და ეს სიცოცხლე მადლის ღირსია  
ვფიქრობ, სიკვდილით დაბოლოება  
ცაში საუფლო სამზადისია.

ჩვენ მოვდიოდით ლოცვით, ხატებით  
მერმისსაც ფრთებით დავეხატებით  
თუ სასოებით მადლი გიგრძენია  
შენ სიყვარულით ხსნა შეგიძლია.

შეგთხოვთ უფალო, მოგვეცე უნარი  
შევიგრძნოთ შენი მადლმოსილება  
უფრო და უფრო, ვით ჩვენ მას ვუწყით  
ჩვენი სულის და ხორცის მხილება.



## ლაზარეს ლექსის შემდეგ, ვეფხიამ ლოცვა წარმოთქვა

### ქართველების ლოცვა სულიწმინდისადმი

სულო წმიდაო, მოგვეცე ნიჭი აღქმად სიყვარულისა  
შენისა, მოგვეცე შეგრძნება მადლიერებისა, რამე-  
თუ გულმაგინყნი ვართ, მოგვეცე უნარი შემეცნება  
წმინდანთა დარიგებათა, რამეთუ შენ მიეცი მადლი  
შენევნითა შენითა, მოგვეცე ძალი, ერთგულება მც-  
ნებათა მიმართ, რამეთუ იგია გზა ცხოვნებისა, გვარ-  
გუნე ზიარება ღირსეული, რამეთუ იგია გვირგვინი  
მარხვისა, სულო წმიდაო შენ დაამკვიდრე სასოება  
ქართველთა შორის, შენ გიხმობდეს ცრემლით ყოველ  
ჩვენგანი, საკურნებლად სულისა და ხორცისა, შენ  
მოგვივლინე განსაცდელი საწრთობად ჩვენდა, დააშ-  
თე განკითხვა, სიძვა, სიძულვილი, ზიზღი, შური, სია-  
მაყე, მრისხანება, ფარისევლობა, პატივმოყვარეობა,  
რამეთუ იგია ნაყოფი ამპარტავნებისა. მოგვეცე თმე-  
ნა და მიტევების უნარი, რამეთუ უფალმა ათასწილ  
დაგვინდო, მოგვეცე განწყობა კეთილი და გვიხსენ  
უსჯულო წესთაგან, მოგვეცე სიმხნევე და განაქარ-  
ვე სიზარმაცე, განგვკურნე ამაოების ტრობისაგან,  
რამეთუ იგია საცდური ბოროტებისა. მოგვეცე ძალი,  
ღვანლით ცხოვრებისა, შენ განჰკურნე უძლურნი,  
მონყალებითა შენითა, რამეთუ ისინი გულიანი რწ-  
მენით, მოგვეცე მყუდროება, მოთმინება, სიმშვიდე  
სულთა ძლიერებისათვის, რამეთუ იგია სარკე სუ-  
ლიერებისა. მოგვეცე სიმხნევე მშობელთა, შვილთა  
თანადგომა უპოვართა მიმართ, რამეთუ მათშია უფა-

ლი, მოგვეცე ღვანლი ლოცვითი, თავმდაბლობა, რა-  
მეთუ იგია მიზეზი ცხოვნებისა, მოგვეცე კრძალულება,  
პატივისცემის უნარი მშობელთა მიმართ, შენ დაამკ-  
ვიდრე წინაპარნი ჩვენნი სასუფეველსა შინა მოგვეცე  
სიხარული, მოგვეცე უნარი ნაკითხვად შვიდგზის ლო-  
ცვისა, განანათლენ გონებანი ჩვენნი, ხელაპყრობით  
გთხოვდეთ, ვგრძნობდეთ სუფევასა შენსა, მიეცე მხე-  
დრობას ძალი და სიყვარული, რწმენა, შეუპოვრობა  
და დაიცავი ისინი მეოხებითა შენითა, მოგვეცე ერთ-  
სულოვნება, დაამკვიდრე მტერთა შორის კეთილ-  
გონიერება, ამრავლე მრევლი მართლმადიდებელი,  
განაძლერენ სულიერებით და განამრავლენ პატიოსა-  
ნი მღვდელი, მონოზონი, მღვდელმთავარნი, მიეცე მხ-  
ნეობა ჩვენს საჭეთმპყრობელს, მოგვეცე მდუმარება,  
თავმდაბლობა, რამეთუ იგია ფესვი უცოდველობისა,  
ზეციური კიბე, მიეცე ხალხს, მთავრობას ეროვნული  
ცნობიერება, რათა გაჰყვენ წმინდა მეფეთა კვალს,  
რამეთუ ესაა ღირსება და მოვალეობა ჩვენი, მიეცე  
სიმხნევე და სიხარული, ჩვენს საჭეთმპყრობელს და  
მოიხსენენ იგი მარადჟამს, აღუსრულე გულში ნადე-  
ბი. გააერთიანე და ააღორძნე ივერია, მადლითა და  
შენდობითა შენითა, უხილავო მადლო, ნიჭის მომცე-  
მელო, ერთარსო მამისა და ძისა, ვითხოვთ პატიებას  
ქართველნი. გვაპატიე და შეგვიწყალე შენდობითა და  
მადლითა შენითა.

გიორგი ბოჭორიშვილი



☺ ☺ ☺

საიქიოს კრებაზე მიაღწენ მკვ-  
დრები.

კარის მცველები ეკითხებიან:

- ვინ ხარ?
- ინგლისელი.
- ნადი ჯოჯოხეთში.
- შენ ვინ ხარ?
- ფრანგი.
- ამოუდექი გვერდით.
- შენ?
- ქართველი ვარ.
- ყოფილხარ ჯოჯოხეთში, ახლა მოისვენე, სამოთხეში ნადი.

P.S. მუდამ ერთ წრეზე ვტრიალებთ.  
რედაქტორი აკაკი წერეთელი  
პოლიტიკური სატირის ჟურნალი ბზიკი  
1907 წელი

☺ ☺ ☺

- სომეხი ცოლ-ქმრის საუბარი;
- გარიკ, რაღაცაში უნდა გამოგი-  
ტყდე, მოკლედ, ბავშვი შენი არ არის.
- ე, მა ვისია?..
- სანტეხნიკ ლოვასი.
- ეეე... ის ფზიხელი დაჟე არ შე-  
მოგხედავდა, მატყუებ!
- დავალევინე.
- ეგ სასმელში ფულს არ გადაი-  
ხდიდა.
- მე ვუყიდე.
- და ფული საიდან?..
- შენ არ მომეცი?..
- ფული ჩემი იყო?.. ზნაჩიტ ბავშვი  
ჩემია!

☺ ☺ ☺

- გურული ცოლ-ქმარი მუზეუმში  
შევიდნენ.

ქმარმა შიშველი ქალის ქანდაკება  
დაინახა, რომელსაც ნინ ფოთოლი  
ჰქონდა აფარებული. მიუახლოვდა და  
მიაშტერდა...

- ცოლმა იცადა, იცადა და ბოლოს  
დაუყვირა - ჰე, გამოადგამ ანი ფეხს  
თუ შემოდგომას დაუცდი, ფოთოლი  
როდის გახმება?!

☺ ☺ ☺

მუზეუმში გურულს ზედამხედველი  
ეუბნება:

- ამ სავარძელში არ შეიძლება და-  
ჯდომა.
- აი სავარძელი ნაპოლეონისაა.
- მერე რო მუა ნაპოლეონი, ქი ავ-  
დგები.

☺ ☺ ☺

გურულმა უსმინა მთავრობის გა-  
მოსვლას:

- კადრებს სანთლით ვეძებთო...

- აგენი ძამა, ეტყობა ბუასილის  
სანთლით ეძებენ, თვარა, სულ ტრაკე-  
ბს რავა პოულობენ.

☺ ☺ ☺

- მიხო, მილიონი დოლარი რომ მო-  
გცე, რას იზამ, ჰა?

- დავითელი ჯო, შენი ამბავი რომ  
ვიცი.

☺ ☺ ☺

მიხო სიდედრის დასაფლავების  
შემდეგ სახლში ბრუნდება და თავში  
კრამიტი დაეცემა.

ხელს გადაისვამს და იტყვის:  
- ოჰ, ასულა უკვე ქალბატონი ზე-  
ცაში!..

☺ ☺ ☺

გურული მიდის და მიზდა ლაპა-  
რაკობს...

- მეორე გურული შეხვდა:
- რაია ბიჯო, გააბდლდი, თუ რეი-  
ზა ლაპარაკობ მარტუა?
- ჩემზე უკეთესს ვის დევლაპა-  
რაკები, ძამია.

☺ ☺ ☺

- გურულს აყაჩაღებენ:
- დროზე ფული!
- გურული მზესუმზირას აძლევს:
- აი რათ გვინდა, დროზე ფული!
- სანამ ფულიანი გამევიღის, თავი  
შეიქციეთ.

☺ ☺ ☺

- ეშმაკმა გურულს შევაშინებო.
- გადმოუხტა და დუუძახა:
- უუუუუ, გურულმა შეხედა და  
უთხრა:
- ე, მაგფერი აბდალი რომ ხარ,  
იმიზა არ უყვარხარ არავის.

☺ ☺ ☺

რაჭველებს მკვდარი ისე ნელა მიჰ-  
ყავთ, მკვდარს მობეზრდა და საფლა-  
ვამდე თვითონ წავიდა.

☺ ☺ ☺

- გურული ქალი ავტობუსში ავიდა;
- დაბრძანდი დეიდა. წამოხტა პა-  
ტარა ბიჭი.
- იჯექი შვილო, სა მცალია დასა-  
ჯდომად.

☺ ☺ ☺

- გურულების დიალოგი საკანში;
- აუჰ, მთელი ტანი მეფხანება.
- რამდენი გაქვს მისჯილი?
- შვიდი წელი.
- ჰოდა, რა გაქვს მეტი საქმე, და-  
ჯექი და იფხანე ძამა.

☺ ☺ ☺

რაჭველი მეთორმეტე სართულიდან  
გადმოვარდება.

გზად ყველა მეზობელს დაემშვი-  
დობა.

☺ ☺ ☺

გურული ციხეში ზის. იქ ერთი კაცი  
გაიპარება. დაიჭერენ, ხელს მოაჭრიან  
და ისევ შემოადგებენ.

კიდევ გაიპარება. დაიჭერენ, მეორე  
ხელს მოაჭრიან, ისევ შემოადგებენ.  
გაკვირვებული გურული ეკითხება:

- რაი ძამა, ნაწილ-ნაწილ რეიზა  
იპარები?

☺ ☺ ☺

გურულმა ექიმმა პაციენტს ტალა-  
ხით მკურნალობა დაუნიშნა.

- მომიხდება? - ჰკითხა.
- მოხდენის რა მოგახსენო, მარა  
მინას მიეჩვევი.

☺ ☺ ☺

სვანმა სარკე იპოვა, ჩაიხედა და  
ჯიბეში ჩაიდო, ჩემი ყოფილაო.

☺ ☺ ☺

გურული ოქროს თევზს დეიჭერს.  
თევზი ეუბნება:

- ახლა არ დამინყო სამი სურვილი,  
ერთი მთხუე და შეგისრულება.
- ა, ახლა ხო ვართ ჩოხატაურში?
- აქედან ნიუ-იორკამდე ხიდი გადვი.
- ახლა შენი ისეთი რამე მთხუე,  
იცი გამიჭირდება შესრულება. პანა  
ადვილი რამე მითხარი.
- კაი, აპა, ყველა გურულს ტვინი  
მიეცი.
- თევზმა დიდხანს იფიქრა და  
გურულს ჰკითხა:
- ე, ხიდი რამსიფართე გინდა?

☺ ☺ ☺

მეგრელი წყალში იხრჩობა და ყვი-  
რის:

- პამაგინეე, პამაგინეე.
- გურულმა ჩამოიარა, წყალში გა-  
დაიხედა და ჩასძახა:
- მაი რუსულის სწავლას, ცურვა  
გესწავლა არ ჯობდა?

☺ ☺ ☺

გურული თბილისის ზოოპარკს ეწ-  
ვია:

- გურულოოოო... შემოესმა თუ-  
თიყუშის გალიიდან.
- ხომ არ მომეყურაო და ხელახლა  
ჩაუარა თუთიყუშის გალიას
- გურულოოოო... - ეძახის თუ-  
თიყუში.



# ნაგოგარის ჩაის სახლი

მზესხვიის უზენაესი ხელოვნება, ნეოპეჩი



მობილურის ნომრებია:

551 006 091

599 464 572

551 521 224

e-mail:naghdigurulebi@gmail.com





პრობანგული

ISBN 2346-7606



9 772346 760009

შადვამ ახელაქამ პოლიფორმული გუსიკა სახვითი საშუალებით  
ააგეზყვად. მომლანდების ბაგეაბიდან, თითქოს, გვესმის  
გუსიკის ვანგებში რაძირული გუნდი მოქანობილი...